პროლეტარეზო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 28 (9804) | ოთხშაბათი, 3 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავამაღლოთ პარტიული განათლების დონე

სულ უფრო იზრდება კომუნისტების, ჩვენი ინტელიგენციის ცხოველი ინტერესი პოლიტიკური ცოდნისადმი. ტმყარებიან რა ამ მზარდ ინტერესს პოლიტიკური ცოდნისადმი, პარტიულმა ორგანიზაციებმა სახწავლო წლის დაწყებიდან დიდი შუშაობა გაიაღეს კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგში.

მაგრამ პარტიულ პროპაგანდაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს, კერძოდ, ცხადყო პარტიის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებისა და მეცნიერებისა და კულტურის განყოფილებათა გამგეების თათბირმა, რომელიც ამ დღეებში მოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. სტატუციერ და ბეჭდვითს პროპაგანდაში ჯერ კიდევ გადალახული არ არის თეორიის შესწავლისადმი მედავთნური, დოგმატური მიდგომა, მეცტატეობა, რაც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის. თეორიულ დებულებებს ხშირად განმარტავენ კონკრეტული ისტორიული ვითარებისაგან, პარტიის ძირითადი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანებისაგან მოწყვეტით, ნაკლებად უკავშირებენ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის დონის შემდგომი ამაღლებისათვის საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკაში ეს ნაკლოვანებანი, მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი კადრები, ყველა კომუნისტი ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის არსს. მთელი ჩვენი პროპაგანდა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ცხოვრებას, ხელს უწყობდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების განხორციელებას.

როგორც პროპაგანდის მუშაკთა თათბირზე გამოირკვა, უდიდესი ნაკლია ის, რომ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში დღემდე აღმოფხვრილი არ არის პარტიულ განათლებაში ნებაყოფლობითი პრინციპის დარღვევები. იმის ნაცვლად, რომ ახსნაგანმარტებითი მუშაობა გასწიონ კომუნისტებთან, რომ საჭიროა აიმაღლონ შეგნება და დაეუფლონ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია მიმართავს ადმინისტრაციულ მეთოდს და კომუნისტების პირადი სურვილის მიუხედავად შეპყავს ისინი წრეში ან სკოლაში. პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებისადმი ასეთ ფორმალურ-ბიუროკრატულ მიდგომას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. უნდა შევიგნოთ, რომ პარტიულ განათლებაში ნებაყოფლობის პრინციპი ემყარება ჩვენი პარტიის პროპაგანდისტული მუშაობის მრავალი წლის გამოცდილებას. ამასთან აქ საქმე ეხება არა იმას, რომ ნებაყოფლობა გავიგოთ როგორც პარტიული განათლების სისტემაში არსებული ფორმების — წრის ან პოლიტსკოლის თავისუფალი არჩევა. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ აღმოვფხვრათ სკოლებსა და წრეებში პირადი სურვილისა და თეორიული მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლად კომუნისტების სავალდებულო, ხელოვნური ჩარიცხვის პრაქტიკა.

სწორედ ამ პრაქტიკის შედეგად პარტიულ ორგანიზაციებში არის მრავალი შემთხვევა, როცა დაწყებითს წრეებში ჩარიცხული არიან კომუნისტები, რომლებმაც მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები წინათ შეისწავლეს პარტიული განათლების ქსელში, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და სხვა სასწავლებლებში. საყოველთაო „ჩაბმით“ გატაცებულ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციას პარტიული განათლების სკოლებსა და წრეებში შეპყავდა ხნიერი კომუნისტები, მრავალშვილიანი ქალები, რომლებიც დატვირთული არიან ოჯახით, შვილების აღზრდისათვის ზრუნვით, და ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ ბევრ მათგანს არ შეუძლია სისტემატურად დაესწროს მეცადინეობას და შეასრულოს საშინაო დავალება.

ნებაყოფლობითი პრინციპის უხეში დამახინჯება და დარღვევაა ის, რომ კურსკის, ირკუტსკის ოლქების, ხაბაროვსკის მხარის ზოგიერთ სასწავლებელსა და დაწესებულებაში პარტიული განათლების სკოლებსა და წრეებში ჩარიცხული აღმოჩნდნენ ამ დაწესებულებებისა და სასწავლებლების ყველა მომუშავე, მათ შორის ყველა პროფესორი, მასწავლებელი, უფროსი კურსის სტუდენტები.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ წლებში ასეულ ათასობით კომუნისტმა წარმატებით დაამთავრა პოლიტიკური განათლების დაწყებითი სკოლები და წრეები. ამ კომუნისტთა მნიშვნელოვან ნაწილს, რომელმაც წრეებში შეითვისა პოლიტიკური ცოდნის საჭირო მინიმუმი, ახლა არ ესაჭიროება სწავლების სავალდებულო რეგლამენტაცია. ყოველთვის არ ითვალისწინებენ იმასაც, რომ ჩვენში კოლოსალურად გაიზარდა კომუნისტთა დამოუკიდებელი სწავლის შესაძლებლობანი. კომუნისტთა მნიშვნელოვან ნაწილს შეუძლია და სურს რევოლუციური თეორია შეისწავლოს პოლიტიკური ლიტერატურის დამოუკიდებელი კითხვით, მათ კი ყოველ წელიწადს ერთსა და იმავე სკოლებსა და წრეებში რიცხავენ.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა დაუყოვნებლივ მოუღონ ბოლო პარტიულ განათლებაში კომუნისტთა საყოველთაო „ჩაბმით“ ფორმალურ-ბიუროკრატულ გატაცებას, რადგან ეს იწვევს პარტიული განათლების ქსელის უზომო გაბერვას, იმას, რომ პროპაგანდისტთა კადრები სავსეა ნაკლებკვალიფიციური ადამიანებით, იწვევს მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონის დაქვეითებას. საქმისადმი ფორმალური, კაზიონური მიდგომა არ აძლევს ინტერესს პოლიტიკური ცოდნისადმი, არამედ, პირიქით, ახშობს მას. საჭიროა გადაჭრით ვთქვათ უარი სკოლებსა და წრეებში კომუნისტების ხელაღებით ჩაბმის პრაქტიკაზე, აღმოვფხვრათ ბიუროკრატული დამახინჯებანი პარტიული განათლების ორგანიზაციაში, რადგან ამას ხაერთო არა აქვს რა ჩვენი პარტიის სულისკვეთებასთან. ბოლოს, საჭიროა შევიგნოთ, რომ წრეებში, სემინარებში მონაწილეობა, სალამოს პარტიულ სკოლებსა და სხვა ფორმის პარტიულ განათლებაში სწავლა ნებაყოფლობითი საქმეა.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ უახლოეს დროში გაერკვნენ თვითეული წრისა და სკოლის მუშაობაში, აღმოფხვრან არანორმალობანი მათს მუშაობაში. საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ შეცდომები წრეების დაკომპლექტებაში, ცალკეულ შემთხვევებში არ მოვიგიოთ იმასაც, რომ დავშლათ ისეთი წრეები, რომლებიც შექმნილი იყო ადმინისტრაციული ზეგავლენით, კომუნისტების პირადი სურვილის გაუთვალისწინებლად, ბიუროკრატული რეგლამენტაციის წესით და რომლებიც უსიცოცხლონი არიან.

პარტიული განათლების შემდგომი გაუმჯობესების მთავარი და ძირითადი პირობაა მისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება. პარტიული განათლების მთელი მუშაობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ იგი შინაარსიანი იყოს, იწვევდეს კომუნისტების ცხოველ ინტერესს მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი, პოლიტიკური ცოდნისადმი. პოლიტიკური სწავლებისადმი ინტერესი რომ უზრუნველყოთ, — ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს გავაუმჯობესოთ მეცადინეობის ხარისხი. მხოლოდ შინაარსიანი და ცოცხალი მეცადინეობა, მაღალი იდეური და პოლიტიკური დონის ლექციები და კონსულტაციები, რომლებიც განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, გამოიწვევენ კომუნისტის ინტერესს სწავლისადმი, ჩაუნერგავენ მას თეორიის სიყვარულს.

პარტიული პროპაგანდის მაღალი ხარისხისათვის ზრუნვა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს პროპაგანდისტთა იდეურ-თეორიული დონის და მეთოდური მომზადების დაუცხრომელ ამაღლებას. პროპაგანდისტი მაშინ იქნება მოწოდების სიმაღლეზე, როცა განუწყვეტლივ გაიმდიდრებს ცოდნას, აიმაღლებს პროპაგანდისტულ ოსტატობას. პრინციპულად მტკიცე და უნარიანი პროპაგანდისტი რომ იყო, „საჭიროა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ბევრი ისწავლო და გამოცდილება შეიძინო... და ასეთი ადამიანები უნდა დავასპეციალოთ, მთლიანად ჩავაბათ საქმეში და უაღრესად გავუფრთხილდეთ“.

საჭიროა კვლავაც გავაუმჯობესოთ მუშაობა პროპაგანდისტებთან, ლექტორებთან, რომლებიც საპატიო და პასუხსაგებ მუშაობას ასრულებენ. პარტიული ორგანიზაციების ვალი ის არის, რომ ამ სამუშაოზე შეარჩიონ და დააწინაურონ თეორიულად მცოდნე, მარქსისტულად გამოწრთობილი კომუნისტები, რომლებსაც აქვთ მიდრეკილება პროპაგანდისტული მუშაობისადმი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი კადრების, ინტელიგენციის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების უმნიშვნელოვანესი მეთოდია კომუნისტური პარტიის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდი, რაც შემოწმებულია პარტიის წევრთა უფროსი თაობის გამოცდილებით. ამყარად ჩვენს კადრებს, ყველა კომუნისტს უსაზღვრო შესაძლებლობანი აქვთ, რათა დამოუკიდებლად იმუშაონ თავიანთი თეორიული მომზადების ასამაღლებლად, და სრულიად საჭირო არ არის ხელოვნურად ვქმნიდეთ ფილოსოფიისა და პოლიტეკონომიის უმაღლესი ტიპის წრეებს, განსაკუთრებით, როცა ისინი უზრუნველყოფილი არ არიან კვალიფიციური პროპაგანდისტებით. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან აღმოფხვრან კომუნისტების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდის შეუფასებლობა.

პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკაში შეიქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელი კომუნისტებისადმი თეორიული და მეთოდური დახმარების ნაცადი ფორმები. ეს არის ლექციები, კონსულტაციები, ბეჭდვითი პროპაგანდა. სამწუხაროდ, ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. საჭიროა უფრო ფართოდ გავაჩაღოთ ბეჭდვითი პროპაგანდა, ბოლო მოვუღოთ ლექციური პროპაგანდის შეუფასებლობას, სერიოზულად გავაუმჯობესოთ პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების მუშაობა, მივაღწიოთ ლექციების ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებას. დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ბიბლიოგრაფიულ მუშაობას.

პროპაგანდისტული მუშაობის ხელმძღვანელობა ნიშნავს იმას, რომ ღრმად ჩასწვდე სკოლებისა და წრეების მეცადინეობის, ლექციების ხარისხსა და იდეურ შინაარსს და არა მხოლოდ აგროვებდე სტატისტიკურ ცნობებს სწავლებაში კომუნისტთა ჩაბმის შესახებ. ეს ნიშნავს გავითვალისწინოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელ კომუნისტთა იდეური მოთხოვნები და ამის შესაბამისად ავაგოთ მთელი პროპაგანდისტული მუშაობა. ეს ნიშნავს შეგვეძლოს დავაკმაყოფილოთ კომუნისტთა ცხოველი ინტერესი პოლიტიკური ცოდნისადმი, განუწყვეტლივ ვავითარებდეთ მას, ვაძლიერებდეთ მისწრაფებას მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი, ბოლო მოვუღოთ „საყოველთაო ჩაბმით“ ფორმალურ-ბიუროკრატულ გატაცებას, რადგან ასეთ გატაცებას ზიანი მოაქვს პოლიტიკური სწავლების ხარისხისათვის. პარტიული განათლებისადმი ხელმძღვანელობის მხოლოდ ძირეული გაუმჯობესების საფუძველზე შეიძლება კიდევ უფრო ავამაღლოთ პროპაგანდისტული მუშაობის დონე.

„პრავდის“ 1-II მოწინავე

ვ. ი. ლენინის შრომების გამოცემა იუგოსლავიაში

რომი, 30 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, გამომცემლობა „რინასიტა“ წელს გამოუშვებს ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულს 35 ტომად ვ. ი. ლენინის შრომების მეოთხე საბჭოთა გამოცემის მიხედვით.

ეს პარტიის წევრთა იდეოლოგიური დონის ამაღლების ახალი ძირითადი საშუალება იქნება, წერს გაზეთი.

მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე

საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად ასახელებს თავის საუკეთესო შვილებს, კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს

თბილისი

საქართველოს დედაქალაქის — თბილისის საწარმოებში, დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში იმართება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი კრებები.

კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად ასახელებენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, რითაც გამოხატავენ მხურვალე მხარდაჭერას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის კოლექტივის საერთო კრებამ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის სტალინის № 624 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელა ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი** და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის ლენინის № 147 საარჩევნო ოლქში ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, ნ. ნ. შატალინი.**

თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის სტალინის № 624 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელა ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი** და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის სტალინის № 145 საარჩევნო ოლქში ამხანაგები **ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. მ. მოლოტოვი.**

თბილისის სართავ-საკრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის სტალინის № 624 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელა ამხანაგები **მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი** და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის ლენინის № 147 საარჩევნო ოლქში ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, მ. ზ. საბაროვი.**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი საერთო კრებაზე კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის ლენინის № 625 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. გ. პერვუხინი.**

აფხაზეთის ასსრ

აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. წინასაარჩევნო კრებები ცხადყოფენ საბჭოთა ადამიანების ერთსულოვნებასა და მჭიდრო დარაზმულობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში თავიანთ კანდიდატებად მშრომელნი ასახელებენ საუკეთესო, ყველაზე ღირსეულ ადამიანებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი კრება გაიმართა სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სოხუმის № 627 საარჩევნო ოლქში სოხუმელმა მეთამბაქოეებმა ერთსულოვნად დაასახელეს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ა. სუსლოვი** და საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ა. გეგეშიძე.**

დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ. აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სოხუმის № 126 საქალაქო საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამხანაგები **ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მ. ი. კუბავა.**

გუდაუთის რაიონის სოფელ მუგუძირხვის სასოფლო-სამეურნეო არტელ „მზიურის“ კოლმეურნეთა საერთო კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კალდახვარის № 402 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი, პ. კ. პონომარენკო** და აფხაზეთის მოწინავე კოლმეურნეობის — გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშის“ თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი **გ. შ. არძინბა.**

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობს სამხრეთ ოსეთის საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრებები. მშრომელნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად ასახელებენ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს.

სტალინირის მექანიკური ქარხნის კოლექტივის ხალხმრავალ კრებაზე ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან სტალინირის № 617 საქალაქო საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. მ. შვერნიკი** და საქართველოს კომუნისტური პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. პ. ყუჯიაშვილი.**

ლენინგორის რაიონის სოფელ ლენინგორის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ წევრთა საერთო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან ლენინგორის № 620 საარჩევნო ოლქში დაასახელოს ამხანაგები **კ. ე. ვოროშილოვი, მ. ზ. საბაროვი** და სტალინირის მტს-ის მთავარი აგრონომი **მ. ი. ტეხოვა.**

ქსუნის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივმა თავის წინასაარჩევნო კრებაზე ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან სტალინირის № 618 სასოფლო საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელა ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი.** ამავე საარჩევნო ოლქში სტალინირის რაიონის სოფელ ტბეთის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ამხანაგები **ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი** და სოფელ ქსუნისის საშუალო სკოლის მასწავლებელი **ო. მ. გულიევა.**

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში

დიდი აღმავლობით ჩაიარა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ.

კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის № 626 სასოფლო საარჩევნო ოლქში მეტალურგებმა დაასახელეს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი,** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მეფავანაძე** და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად გურჯაანის № 150 საარჩევნო ოლქში ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი** და წარმოების მოწინავე მუშაკი, ჩქაროსანი მეფოლადე **ი. ა. მეტრეველი.**

გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის სტალინის სახ. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება — ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად გორის № 141 საარჩევნო ოლქში დაასახელოს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი** და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. ზ. რომელაშვილი.**

ამავე რაიონის სოფელ ტყვიავის კეცხოველის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გორის № 634 საარჩევნო ოლქში დაასახელეს გორის პურკომბინატის ინჟინერ-ტექნოლოგი **მ. ნ. ჯოხაძე.**

დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში.

ლენინის სახელობის შახტის კოლექტივის საერთო კრებაზე კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქუთაისის № 631 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი** და ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი **რ. დ. კახაძე.**

ხალხმრავალი კრება გაიმართა სტალინის სახელობის შახტში. აქ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამბროლაურის № 136 საარჩევნო ოლქში დაასახელეს მოწინავე მაღაროელი — მნგრეველი **შ. ე. ფურცხვანიძე.**

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გაიმართა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ზესტაფონის № 134 საარჩევნო ოლქში ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებმა დაასახელეს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **მ. პ. გიორგაძე.**

თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრებაზე კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თელავის № 635 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი** და ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი **პ. გ. ქემოკლიძე.**

თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თელავის № 148 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამხანაგები **ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი** და თელავის ქალთა მე-3 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე **თ. ა. მაჭავარიანი.**

ბორჯომის კალინინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ბორჯომის № 633 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამხანაგები **კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი** და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი **ა. ი. ანტონოვი.**

ამხანაგ **ა. ი. ანტონოვის** კანდიდატურა კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე დაასახელეს აგრეთვე ბორჯომის რაიონის სოფელ საკირეს კოლმეურნეთა, საკავშირო პროფსაბჭოს ლიკანის სანატორიუმის კოლექტივისა და ბაკურიანის მტს-ის მექანიზატორთა საერთო კრებებზე.

ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის მტს-ის მექანიზატორებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თელავის № 635 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი** და ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის დირექტორი **პ. გ. ქემოკლიძე.** (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ხაშურის, ზესტაფონისა და თელავის რაიონებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ხაშურის, ზესტაფონისა და თელავის რაიონებში.

ამ რაიონების, ისევე როგორც მთელი საქართველოს, მშრომელნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას აღნიშნავენ ახალი შრომითი წარმატებების მიღწევისათვის ბრძოლით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული ორგანიზაციულ-ტექნიკური მუშაობა გასწიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით, დახმარებას უწევენ საარჩევნო კომისიებს. საარჩევნო უბნებში შექმნილია აგიტპუნქტები, რომლებმაც გააჩაღეს საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ამომრჩევლებში.

ამავე დროს გამორკვეულია, რომ არის ნაკლოვანებანი ხაშურის, ზესტაფონისა და თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომთა მუშაობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მოსამზადებლად.

მაგალითად, ზესტაფონის რაიონში ზოგიერთი საარჩევნო უბნისათვის გამოყოფილია მოუწყობელი შენობები; მათ არა აქვთ სატელეფონო კავშირი. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ვერ უზრუნველყვეს მიღებული საარჩევნო დოკუმენტების დროზე განაწილება. ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომში ჯეროვნად არ ზრუნავენ მათი შენახვისათვის. აქ ჯერ კიდევ არ დაუწყიათ მუშაობა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

მთელი რიგი აგიტპუნქტები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ხაშურისა და ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების ამბასადორებმა ჯეროვანი ღონისძიებანი იმისათვის, რომ აგიტპუნქტები და აგიტატორები უზრუნველყოთ საარჩევნო ლიტერატურით. სუსტად აჩაღებენ მუშაობას საოლქო საარჩევნო კომისიები. ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ხაშურის № 138 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ჯერ კიდევ არ მიუციათ შენობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხაშურის, ზესტაფონისა და თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს ამხ. ფერაძეს, მეტრეველს, ხაჩიძეს დაავალა გააძლიერონ მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მოსამზადებლად, უზრუნველყონ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებით“ გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის განხორციელება.

საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი საარჩევნო უბნების შესაბამის შენობებში მოთავსებისათვის, ინვენტარით, სატელეფონო კავშირით, განათებით, გათბობით, რადიოთი მათი უზრუნველყოფისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო უბნების უზრუნველყოფას საარჩევნო დოკუმენტებით, ამ დოკუმენტების გულდასმით შენახვას. უნდა დაწესდეს საარჩევნო კომისიების წევრთა მუდმივი მორიგეობა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამომრჩეველთა სიების დროზე და ზუსტად შედგენას, რათა ეს სიები ა. წ. 11 თებერვლამდე გამოაკრან საყოველთაო გაცნობისათვის. ამომრჩეველთა სიები გულდასმით უნდა შეამოწმონ და შეადგინონ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ ზუსტი შესაბამისობით. მშრომელთა არც ერთი განცხადება, რომელიც შემოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით, არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს ამხ. უტიაშვილს, ხაჩიძეს, ნოზაძესა და კიკნაძეს დააწესონ სისტემატური კონტროლი იმაზე, რომ არჩევნებისათვის მზადების მსვლელობაში განუხრელად სრულდებოდეს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ ყველა მოთხოვნა.

საუბნო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფილ უნდა იქნან დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენების საჭირო რაოდენობით. ამომრჩეველთა სიებში დაშვებულ უზუსტობათა საკითხი საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა დროზე უნდა დასვან რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განსახილველად. თვითეულ საარჩევნო უბანს უნდა მიეცეს რიგითი ნომერი, ყველა ამომრჩეველს უნდა ეცნობოს უბნების ადგილმდებარეობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, დასახელებულნი მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე, საოლქო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაში უნდა გაატარონ არა

გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე 1954 წლის 1 თებერვალს

ჩვენ შევუდექით გერმანიის პრობლემის განხილვას. ჩვენს დღის წესრიგში ამ საკითხს ეწოდება „გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები“.

ბერლინის ამ თათბირის შედეგებზე უმთავრესად იმის მიხედვით იმსჯელებენ, თუ რა მოჰყვება ამ საკითხის განხილვას.

ევროპის ხალხებისათვის და, მათ შორის, თვითონ გერმანელი ხალხისათვის გერმანიის საკითხზე მხოლოდ ისეთ გადაწყვეტილებებს აქვს სერიოზული მნიშვნელობა, რომლებიც არა სტუდვით, არამედ საქმით შეესაბამება ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს. ჩვენი გადაწყვეტილებანი უნდა ისახავდნენ ძირითად მიზანს — უზრუნველვყოთ მშვიდობა ევროპაში, მაშასადამე, თავიდან ავიცილოთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საფრთხე.

ეთანხმებიან თუ არა საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების აქ მყოფი წარმომადგენლები იმას, რომ მთავარი პასუხისმგებლობა როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის გერმანიის მილიტარიზმს ეკისრება? იმედი მაქვს, რომ ეთანხმებიან. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ არ დავუშვათ ისეთი მდგომარეობა, როცა აგრესიული გერმანიის მილიტარიზმს შეეძლება კვლავ დაარღვიოს ევროპის მშვიდობიანი ცხოვრება და გააჩაღოს მესამე მსოფლიო ომი.

საბჭოთა ადამიანებს მუდამ ახსოვთ ეს. ისინი ვერ დაივიწყებენ იმ აუოაცხელ მსხვერპლს, რომელიც ჩვენმა ხალხმა წარსულში გაიღო და რომელზეც მოყვანილი ციფრები და ფაქტები მხოლოდ სუსტ წარმოდგენას იძლევიან. ეს მსხვერპლი განსაკუთრებით დიდი იყო სსრ კავშირზე ჰიტლერელთა თავდასხმის მძიმე წლებში, რაც მოჰყვა ჩეხოსლოვაკიაზე, პოლონეთზე, ბელგიაზე, საფრანგეთზე, ჰოლანდიაზე, დანიაზე, ნორვეგიასა და იუგოსლავიაზე თავდასხმას.

განა შეგვიძლია დავივიწყოთ ის, რომ ჰიტლერელთა თავდასხმის შედეგად ჩვენს ქვეყანაში მთლიანად ან ნაწილობრივ დაინგრა და დაიწვა 1.710 ქალაქი და 70 ათასზე მეტი სოფელი? როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ზარალის ფინანსურმა გამოანგარიშებამ ცხადყო, რომ პირდაპირი ზარალი საბჭოთა ტერიტორიაზე, რომელმაც ჰიტლერელთა ოკუპაცია განიცადა, განისაზღვრება არასრული მონაცემებით 128 მილიარდი დოლარით. შესაბამისი დაწვრილებითი ოფიციალური მონაცემები გამოქვეყნებული იყო.

განა შეგვიძლია დავივიწყოთ ის, რომ გერმანიის მილიტარიზმის აგრესიის შედეგად საბჭოთა კავშირმა ბრძოლებში და სამშობლოს ფარგლებს გარეთ საბჭოთა ადამიანების ულმობელი გარეკვის გამო სამუდამოდ დაკარგა 7 მილიონამდე კაცი. დიდია ევროპის, და არა მარტო ევროპის, სხვა ხალხთა მსხვერპლი. მაგრამ ყველამ იცის, რომ სსრ კავშირი ყველაზე მეტად დაზარალდა და თავისი ზურგი ზიდა აგრესიის წინააღმდეგ, სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლის მთავარი სიმძიმე.

გამოთქვამს რა თავისი ხალხის ურომეს გრძნობასა და ნებას, სსრ კავშირის მთავრობას თაგის მოვალეობად მიაჩნია ყოველი ღონე იხმაროს, რათა არ დაუშვას ახალი მსოფლიო ომი. იგი სწორედ ამიტომ წინააღუდგება გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების ყოველ ცდას. ვინც დღეს ხელს უწყობს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, მას უმძიმესი პასუხისმგებლობა ეკისრება მსოფლიოს ბედისათვის და, უწინარეს ყოვლისა, ევროპის ხალხთა ბედისათვის.

რას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხში?

მოკლედ რომ ვთქვათ, სსრ კავშირის პოზიცია ის არის, რომ ჩვენმა ქვეყნებმა — საფრანგეთმა, ინგლისმა, შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა — ამ საკითხში იხელმძღვანელონ ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილებების იმ ძირითადი პრინციპებით, რომლებიც ჩვენ ერთსულოვნად მივიღეთ წინათ და რომლებიც მოწმობენ, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ მშვიდობა და თავიდან ავიცილოთ გერმანიის მილიტარიზმის ახალი აგრესიის შესაძლებლობა.

ამ შეთანხმებებში დადგენილ იქნა, რომ საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ერთობლივად იმოქმედებენ იმ მიმართულებით, რომ დაეხმარონ გერმანელ ხალხს აღადგინოს თავისი სახელმწიფო დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე. ამ გადაწყვეტილებებს ერთ დროს მიემხრო საფრანგეთიც, თუმცა ახლა ბ-ნი ბიდო წამდაუწუმ ემიჯნება ამ შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს. მაინც ვფიქრობ, რომ საფრანგეთს ეს შეთანხმებანი არანაკლებ ესაჭიროება, ვიდრე, ვთქვათ, საბჭოთა კავშირს.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ პოტსდამის შეთანხმებათა ბევრი პუნქტი უკვე მოძველდა. მიუხედავად ამისა, ამ შეთანხმებათა ძირითადი აზრი სავსებით რჩება ძალაში. ამ შეთანხმებათა აზრი ის არის, რომ გერმანიის პრობლემის გადაჭრაში საფრანგეთმა, სსრ კავშირმა, ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერთად იმოქმედონ და რომ ჩვენმა ქვეყნებმა გამონახონ საერთო ენა გერმანელ ხალხთან, სახელდობრ — მის დემოკრატიულ ძალებთან, რათა არ დაუშვათ ახალი ომი ევროპაში.

ოთხ სახელმწიფოს შორის ხსენებულმა შეთანხმებებმა დასახეს ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფის ნათელი გზები. თუ ოთხი სახელმწიფოს ამ შეთანხმებათა შესაბამისად არ დავუშვებთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, ჩვენ ავიცილებთ ევროპაში ახალი ომის მთავარ საფრთხეს და ამით სერიოზულ დაბრკოლებებს შევუქმნით ახალი მსოფლიო ომის მომზადებასა და გაჩაღებას. ხოლო თუ უარს ვიტყვით ოთხ სახელმწიფოს შორის ერთობლივ და შეთანხმებულ მოქმედებაზე და დავუშვებთ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას, ასეთ მდგომარეობაში ევროპისთვის საერთაშორისო შეთანხმება ვერ მოგვცემს იმის საკმაო გარანტიას, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა.

ყოველივე ამით გერმანელი ხალხი სხვა ხალხებზე ნაკლებ როდია დაინტერესებული. ბერლინში ყოფნის დროს ჩვენ განსაკუთრებით ძლიერ ვგრძნობთ, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვა ომს გერმანელი ხალხისთვისაც. ახლანდელ პირობებში ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას, ყოველივე სხვა რამეს გარდა, მოჰყვება ისეთი სერიოზული უბედურება, როგორიც არის თვითონ გერმანელებს შორის ძმათამკვლელი ომის საფრთხე.

ჩვენი თათბირი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ჩვენ გერმანიის პრობლემას განვიხილავთ ბერლინში ისე, რომ გერმანელები არ მონაწილეობენ.

აქ დამსწრე საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების შინისტრებმა არ მოისურვეს მოესმინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის, მოიმიზეზეს რა, რომ ამის წინააღმდეგია ადენაუერის მთავრობა. ისინი დაეთანხმნენ დასავლეთ გერმანიის იმ ოფიციალურ პირებს, რომლებსაც წარმოუდგენიათ, თითქოს ისინი გამოხატავდნენ მთელი გერმანელი ხალხის ნებას, თუმცა ეს სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. დასავლეთ გერმანიის ამ თვითკმაყოფილმა ოფიციალურმა პირებმა არ მოისურვეს ერთ მაგიდას მოსხდომოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებთან ერთად, რომლებიც ძალაუფლებით აღჭურვა აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ, როგორც ეს ცხადყო აქ მომხდარმა პარლამენტის დემოკრატიულმა არჩევნებმა და ყოველდღიური ცხოვრების მრავალმა ფაქტმა. ამან ცხადყო აღნიშნული ოფიციალური წრეების პოლიტიკური სიბეცე.

მაგრამ საბჭოთა დელეგაციას შესაძლებლად მიაჩნია დაშვებული შეცდომის გამოსწორება. ამისათვის მომავალში ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ შემთხვევით, რათა მოვუსმინოთ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებს, გერმანიის პრობლემის თუნდაც ცალკეულ, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. ეს შეიძლებოდა გაგვეკეთებინა იმ საკითხზეც, რომელსაც დღეს განვიხილავთ.

საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ გერმანიის პრობლემა, უწინარეს ყოვლისა თვით გერმანელი ხალხის, თვით გერმანელების საქმეა. გერმანელი ხალხი არ შეიძლება იყოს გადაწყვეტილებათა რაღაც უბრალო ობიექტი ანდა სხვა სახელმწიფოთა მოქმედების ობიექტი. მარტო თვითონ გერმანელ ხალხს, მარტო თვითონ გერმანელებს შეუძლიათ ნამდვილად გადაჭრან გერმანიის პრობლემა. გერმანიის საკითხის სხვანაირად გადაჭრა უგუნური და გერმანელი ხალხის მიმართ უსამართლო იქნებოდა.

მეორე მხრივ მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებულმა გარემოებებმა ისეთ მდგომარეობამდე მიგვიყვანა, როცა საბჭოთა კავშირს, საფრანგეთს, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეუძლიათ განზე იდგნენ ამ პრობლემის გადაჭრისაგან, არ შეუძლიათ იყვნენ მხოლოდ პასიური მეთვალყურენი ამ საქმეში. ომის დამთავრების დროიდან მათ ეკუთვნით აქტიური და განსაკუთრებით პასუხსაგები როლი გერმანიის საკითხის გადაჭრაში.

რა თქმა უნდა, ეს ეხება მხოლოდ ახლანდელ პერიოდს, როცა ჯერ კიდევ არ დადებულა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება. როგორც კი დაიდება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება — ხოლო ამ საქმის დაჩქარებაზე ზრუნვა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მოვალეობაა — გერმანია ჩადგება ევროპის თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა რიგებში. შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ გერმანიის კულტურის მაღალი დონე და განვითარებული მშვიდობიანი ეკონომიკა უზრუნველყოფენ გერმანიისათვის ღირსეულ ადგილს მსოფლიოს სხვა დიდ სახელმწიფოთა შორის.

მომავალში კი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებამდე ჩვენმა ოთხმა სახელმწიფომ არა ცალცალკე, არამედ ერთობლივად უნდა იმოქმედოს, რათა საქმე მიიყვანოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებამდე და უზრუნველყოს გერმანელი ხალხისათვის თავისი ეროვნული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენა, რათა ჩვენი ერთობლივი მოქმედებითა და თვით გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე ძალების ღონისძიებებით შევქმნათ ისეთი პირობები, როცა აღდგენილი გერმანია არ გახდება მომავალში აგრესიის ახალი კერა, არამედ გახდება ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახის ერთ-ერთი თანასწორუფლებიანი წევრი. არ შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, რომ თუ ჩვენი ოთხი სახელმწიფო ერთობლივად იმოქმედებს და არ შეეცდება გამოიყენოს გერმანიის თუნდაც ნაწილი იმისათვის, რომ ევროპის ერთი ჯგუფი სახელმწიფოები დაუპირისპიროს ევროპის სხვა სახელმწიფოებს, ჩვენ წარმატებით გადავჭრით გერმანიის პრობლემას. ამ შემთხვევაში არ უნდა დაზარალდეს ოთხი სახელმწიფოდან ერთ-ერთი რომელიმე სახელმწიფოს ან რომელიმე სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ინტერესები, და ამასთან ერთად ეს იქნებოდა გერმანიის პრობლემის საუკეთესო გადაჭრა თვით გერმანელი ხალხის ეროვნული უფლებებისა და ძირეული ინტერესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

სხვა გზაზე უბიძგებენ გერმანიას ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმები. ამ გეგმების პოლიტიკური აზრი ის არის, რომ სამი სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი ცდილობენ ახლანდელი დასავლეთი გერმანიის ოფიციალურ წრეებთან ერთად შეაკოწიწონ მეოთხე სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ბლოკი.

ახლა სწორედ ისეთი მომენტია, როცა სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ამ ბლოკში ყოველნაირად აბამენ დასავლეთ გერმანიას და შესაძლებლობას აძლევენ მას შეუდგეს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას. ეს ამასთან ერთად ნიშნავს იმას, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფო ახორციელებს არა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საწინააღმდეგო პოლიტიკას, არამედ დასავლეთ გერმანიის იმ ახლანდელ ოფიციალურ წრეებთან სამხედრო თანამშრომლობის პოლიტიკას, რომლებიც აშკარად ამყარებენ იმედს გერმანიის მილიტარიზმის ახლო ხანში ლეგალიზაციაზე.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ ამ პოლიტიკას ახლა საფრანგეთის მთავრობაც კი ახორციელებს. არ იქნება არავითარი გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ ეს აშკარა უპერსპექტივო პოლიტიკა იწვევს ევროპის ხალხთა უმრავლესობის კანონიერ გაკვირვებას.

საფრანგეთის მთავრობის ასეთი პოლიტიკის დასასაბუთებლად ბ-ნმა ბიდომ აქ ისე დასვა საკითხი, თითქოს იყოს მხოლოდ მის მიერ აღნიშნული ორი ალტერნატივა. როგორია ეს ალტერნატივები?

მომყავს ბ-ნ ბიდოს სიტყვები, რომლებიც მან თქვა ჩვენს თათბირზე 25 იანვარს.

„არ უნდა დავტოვოთ შუაგულ კონტინენტზე იზოლირებული გერმანია და ამაღე დროს თავიდან უნდა ავიცილოთ ყოველგვარი აგრესიული მილიტარიზმის აღორძინება. ამ მხრივ შესაძლებელია ორი და მხოლოდ ორი ფორმულა: იძულებითი კონტროლის ფორმულა და ასოციაციის ფორმულა“.

ამრიგად, ბ-ნ ბიდოს განცხადების თანახმად, გერმანიის მიმართ შესაძლებელია ან „იძულებითი კონტროლის ფორმულა“, ხოლო სხვა ადგილას იგი ლაპარაკობდა „უვადო კონტროლზეც“ კი, ან „ასოციაციის ფორმულა“. მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაშია მიღებული სრულიად სპეციფიკური „ასოციაცია“.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ჰოტსდამის შეთანხმებანი გერმანიის მიმართ ბ-ნ ბიდოს ესმის როგორც „იძულებითი კონტროლის“ ფორმულა. ამასთან იგი საქმეს. ისე გვიხატავს, თითქოს ვიღაც ცდილობდეს თავს მოახვიოს გერმანიას სხვა სახელმწიფოთა კონტროლი განუსაზღვრელი ვადით. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სწორი გაგება არ არის.

ამავე დროს, თუ დაუსრულებლივ კი არ გადავდებთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას, არამედ შევუდგებით, — მაგალითად, როგორც ამას საბჭოთა კავშირი მოითხოვს, — ხელშეკრულების მომზადებას, საჭირო აღარ იქნება დიდი დრო, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება დაიდოს საქმის გაუჭიანურებლად. აკი დავდეთ საზავო ხელშეკრულებანი ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოსთან, მათ შორის ისეთ ქვეყანასთან, როგორიც იტალიაა.

თუ ოთხი სახელმწიფოს მინისტრები არ გააჭიანურებენ ამ საქმეს, გერმანიასაც ექნება საზავო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იგი მიიღებს ნამდვილ თავისუფლებას თავის საშინაო და საგარეო საქმეებში. გერმანელ ხალხს კი უკვე დიდი ხანია აქვს ასეთი ნამდვილი თავისუფლების მიღების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში არ შეიძლება სერიოზულად მივიღოთ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გერმანიამ იცხოვროს „თავისუფლების პირობებში“. თავისუფლებაზე მარტო ლაპარაკი არ შეიძლება. საჭიროა გერმანელ ხალხს, ბოლოს, ჰქონდეს ეს ნამდვილი თავისუფლება.

მეორე მხრივ, მიმართავს რა ტუნდოვან „ასოციაციის ფორმულას“, ბ-ნი ბიდო ცდილობს შექმნას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, ესე იგი, უბრალოდ რომ ვთქვათ, შექმნას დასავლეთ ევროპის არმია და ამ არმიაში შეიყვანოს აღდგენილი გერმანიის ვერმახტი. გამოდის საკვანძოთ თავისებური „ასოციაციაა“, რომელსაც უბრალოენით შეიძლება ვუწოდოთ დასავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს სამხედრო დაჯგუფება, რომელიც მიმართულია ევროპის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ევროპის სახელმწიფოებს შორის მშვიდობისათვის ზრუნვის ნაცვლად, „ასოციაციის“ ფორმულის ავტორები თავიანთი ხელით ამზადებენ არა მშვიდობის განმტკიცებას, არამედ ახალ და ამასთან უაღრესად საშიშ ომს ევროპაში. უცნაურია ის გარემოება, რომ საფრანგეთის ზოგიერთმა წარმომადგენელმა დაიჯერა, თითქოს საფრანგეთს ესაჭიროებოდეს არა კავშირი სსრ კავშირსა და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან, არამედ სამხედრო ბლოკი თუნდაც გერმანიის ერთ ნაწილთან — ისეთი ბლოკი, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, თუმცა ეს სახელმწიფოები მშვიდობისა და მთელი ევროპის უშიშროების ყველაზე საიმედო დასაყრდენი არიან და სურთ საიმედო მოკავშირენი იყვნენ საფრანგეთისა, რომელიც დაინტერესებულია, რომ არ იქნას დაშვებული ახალი ომი.

მართლაც, თუ ვილაპარაკებთ იმ ქვეყნებზე, რომელთა წარმომადგენლები მონაწილეობენ ამ თათბირზე, მაშინ, თუ არა საფრანგეთი და საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინ იყო ოკუპირებული გერმანიის მილიტარიზმის მიერ სულ რამდენიმე წლის წინათ. მაშ ვისთვის, თუ არა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირისათვის უნდა იყოს გასაგები, რომ მათ საერთო ინტერესები აქვთ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფაში.

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ თუ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირს შორის იქნება კარგი ურთიერთობა და თუ ისინი არა ცალცალკე, არამედ ერთად გამოძებნიან საიმედო გზებს თავიანთი საგარეო უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ახლანდელ პირობებში ვერავინ ვერ გაბედავს დაარღვიოს მშვიდობა ევროპაში, ევროპის უშიშროება უზრუნველყოფილი იქნება. საზოგადოებრივი სისტემების განსხვავება დაბრკოლება არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მან არ უნდა შექმნას გაუფლახავი ზღუდეები ორივე ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების მიღწევისათვის, რაც ევროპის მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების საიმედო საფუძველი უნდა გახდეს. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთიც და საბჭოთა კავშირიც ერთად და შეთანხმებულად წინააღუდგებიან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ ასეთ პოლიტიკას მხარს დაუჭერს გერმანელი ხალხის დიდი უმრავლესობაც. საფრანგეთმა და საბჭოთა კავშირმა უნდა განახორციელონ ერთმანეთის მიმართ არა იზოლაციის პოლიტიკა, არამედ უნდა ესწრაფოდნენ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის თანმიმდევრულ განმტკიცებას, აგრეთვე სსრ კავშირს, საფრანგეთსა და გერმანიას შორის ნორმალური თანამშრომლობის პირობების შექმნას და ამასთანავე, გერმანელი მილიტარისტებისა და რევანშისტების იზოლაციას ევროპაში და თვით გერმანიაშიც. ასეთი პოლიტიკა არ მოეწონებათ გერმანელ მილიტარისტებს, — მაგრამ ისინი ხომ გერმანიის საზოგადოების თუმცა გავლენიან, მაგრამ პატარა უმცირესობას შეადგენენ, — სამაგიეროდ ამ პოლიტიკას მხარს დაუჭერენ გერმანელი ხალხის უფართოესი წრეები. ეს კი, საბოლოო ანგარიშით, საქმეს გადაწყვეტს ევროპის მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების სასარგებლოდ.

ბ-ნი ბიდო ერწმუნა დასავლეთ გერმანიასთან ბონისა და პარიზის შეთანხმებებს. მაგრამ თვით საფრანგეთშიც ყოველდღიურად იზრდება წინააღმდეგობა ამ შეთანხმებათა მიღებისადმი. და ეს სავსებით გასაგებია.

დასავლეთ ევროპის არმიის შექმნის ყველაზე თავგამოდებული მომხრენი არიან, როგორც ცნობილია, ამერიკელი მინისტრები. ეს მათთვის ადვილია, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებენ შეიყვანონ თავიანთი ჯარები ამ არმიაში.

ბ-ნი დალესი აქ ამბობდა:

„საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ იგი შიშობს, რომ ამ გაერთიანებას (მხედველობაშია „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“), რომელიც იქმნება, შეუძლია საფრთხე შეუქმნას მას. სინამდვილეში კი ეს გაერთიანება გააჯანსაღებს ევროპას, უზრუნველყოფს მის მეტ აყვავებას, ამრიგად, უფრო გააძლიერებს მას; მაგრამ ყოველივე ამისა არ უნდა გვეშინოდეს, თუ ამავე დროს ევროპას უფრო მშვიდობისმოყვარეს გახდიან“.

ამრიგად, საბჭოთა კავშირს ურჩევენ „არ ეშინოდეს“ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანებისა“. აქვე აკეთებენ შენიშვნას, რომ ამასთან მხედველობაშია შემდეგი წინაპირობა — „თუ ამავე დროს ევროპას უფრო მშვიდობისმოყვარეს გახდიანო“. სწორედ ეს შენიშვნა ცხადყოფს, რომ ევროპა ჯერ კიდევ არ გუხდიათ მშვიდობისმოყვარე და, მაშასადამე, საბჭოთა კავშირის შიში არცთუ უსაფუძვლოა.

იბადება ასეთი კითხვაც, როგორ გავიგოთ ბ-ნ დალესის სიტყვები, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ თითქოს „გააჯანსაღებს ევროპას, უზრუნველყოფს მის მეტ აყვავებას“. ცნობილია, რომ „ევროპის გაერთიანებაში“ შედის მხოლოდ ექვსი სახელმწიფო, მათ შორის ლუქსემბურგიც. აგრეთვე ცნობილია, რომ ევროპაში არის არა ექვსი, არამედ 32 სახელმწიფო. როგორ — ექვსი სახელმწიფო, რომელიც „გაერთიანებაში“ შედის, გააჯანსაღებს მთელ ევროპას, სადაც 32 სახელმწიფოა? წელს ხომ არ მოიწყვეტს ეს ექვსი სახელმწიფო ასეთ საქმეში?

სინამდვილეში ბონისა და პარიზის შეთანხმებანი მხოლოდ ნაწილია ამერიკის დიდი სამხედრო გეგმისა. არა მარტო ლუქსემბურგს, არამედ საფრანგეთსაც, იტალიასაც ამ შემთხვევაში განიხილავენ უფრო როგორც სხვისი ნების, სხვისი გეგმების შემსრულებლებს.

ბონისა და პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიას გადაქცევენ ევროპაში ახალი ომის მომზადების ძირითად პლაცდარმად. ამასთან დასავლეთი გერმანია გახდება მხოლოდ მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი სამხედრო ბაზა ახალი აგრესიისათვის. იგი ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ატლანტის ოკეანის ბევრ კუნძულზე არსებული ამერიკის სამხედრო ბაზების ქსელის მხოლოდ დამატება იქნება. ფართოდ არის ცნობილი, რომ ამერიკის სამხედრო ბაზები არსებობს დიდ ბრიტანეთში, დასავლეთ გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ნორვეგიაში, კუნძულ მალტაზე, ისლანდიაში, ავსტრიაში, პორტუგალიაში, საფრანგეთის მაროკოში, ალჟირში, ლიბიაში, თურქეთში, კუნძულ კრეტაზე, საუდის არაბეთში, ერაყში, ადენში. ამერიკის სამხედრო ბაზების ქსელს სხვის ტერიტორიებზე ავსებს ინგლისის ბაზების ქსელი სხვის ტერიტორიებზე. ინგლისის ეს ბაზებიც რამდენიმე ათეულია. ამერიკის ბაზების რაოდენობა კი აღნიშნულ სხვის ტერიტორიებზე, არასრული ცნობებითაც, 82-ს აღწევს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სპეციალური ხელშეკრულება დადეს ფრანკისტულ ესპანეთთან. ასეთი დახმარების მიუღებლად ერთ დროს ჰიტლერიც ვერ წავიდა იოლად. მაშ რატომ უნდა თქვან უარი სხვებმა ასეთ ცნობილ მოკავშირეზე?

ცხადია, ყველა ეს და ამერიკის ბევრი სამხედრო ბაზა, რომლებსაც ახლა ქმნიან, აგრეთვე ბონისა და პარიზის შეთანხმებანი მიაჩნიათ იმად, რასაც ბ-ნმა დალესმა უწოდა ევროპის „გაჯანსაღება“ და „აყვავება“. ძნელი არ არის შეავამჩნიოთ, რომ აქ საქმე სრულიადაც არ ეხება ევროპის გაჯანსაღებასა და აყვავებას. ყოველივე ეს ისახავს მიზნებს, რომლებიც მიმართულია სსრ კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ ამას.

საქმე მარტო იმ წმინდა სამხედრო ხასიათის ღონისძიებებით როდი ამოიწურება, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ახორციელებენ. ვინ არ იცის, რომ, გარდა ამისა, ხორციელდება ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ძირი გამოუთხარონ მოსახლეობის, მაგალითად, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოსახლეობის ეკონომიკასა და კეთილდღეობას.

1951 წელს შეერთებულ შტატებში გამოქვეყნდა „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის კანონი“. ამ კანონით ასიგნებულ იქნა 100 მილიონი დოლარი ყოველგვარი დივერსიისა და ძირგამომთხრელი მოქმედებისათვის საბჭოთა კავშირში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ალბანეთში, აგრეთვე გერმანიისა და ავსტრიის საბჭოთა ზონებში. რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების ასეთმა ნაბიჯმა კანონიერი პროტესტი გამოიწვია ბევრ ქვეყანაში, აღნიშნული „კანონის“ რეკლამირება შემცირდა. ამ უკანასკნელ ხანს ცდილობენ ამაზე რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკონ.

მაგრამ თუ 1951 წელს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ძირგამომთხრელი მოქმედებისათვის ასიგნებული იყო 100 მილიონი დოლარი, ცხადია, რაიმე თანხა ასიგნებული იქნა 1952 წელსაც, 1953 წელსაც და 1954 წელსაც. ამ ხანში ასიგნებულმა თანხებმა მიაღწია თუ არა ნახევარ მილიარდ ან მილიარდ დოლარს, ჩვენ არ ვიცი. საკმაოდ ბევრია იმის სიმპტომი, რომ კვლავ ფართოვდება ნაკადი დოლარებისა ძირგამომთხრელი მოქმედებისათვის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ეს რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს წმინდა საშინაო საქმე იყოს, ამაზე შეიძლებოდა არც არაფერი გვეთქვა. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის.

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ ამერიკის „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის კანონიც“ უწინარეს ყოვლისა ევროპაში ახალი ომის მომზადების ელემენტია. ამ კანონის შემდგომმა შესწორებებმა ცხადყვეს, რომ ამ კანონის მიზანია ხელი შეუწყოს ახალი ომის მომზადებას არა მარტო ევროპაში, არამედ აზიაშიც.

როცა შაბათს ბ-ნ დალესის სიტყვას ვისმენდით, კაცს ეგონებოდა, რომ იგი გამსჭვალული იყო სავსებით მშვიდობისმოყვარული განწყობით. ბ-ნი დალესი პირდაპირ გვირჩევდა, ბონისა და პარიზის შეთანხმებათა შიში ნუ გაქვთო. მაგრამ მეორე მხრივ, გონივრული არ იქნება ანგარიში არ გავუწიოთ ფაქტებს. ფაქტები კი, რომლების შესახებაც ეს-ეს არის მოვიყვანე სათანადო მონაცემები, სულ სხვას მოწმობენ, ვიდრე ბ-ნ დალესის სიტყვიერი დამშვიდება.

უკანასკნელ ხანს ბლომად იხარჯება სიტყვები ბონისა და პარიზის შეთანხმებათა სასარგებლოდ, რომლებიც კარს ულებენ გერმანიის მილიტარიზმს. ეს შეთანხმება ნავარაუდევია ათეული წლებისათვის. ეტყობა, სურთ გვითხრან — დაანებეთ თავი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებაზე ფიქრსო. საკმარისია, თუ ექვსი მთავრობის ხელმოწერა შევაგროვეთ ბონისა და პარიზის შეთანხმებებზეო. ეტყობა, სწორედ ამით სურთ შეცვალონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება.

მაგრამ ჯეროვნად უნდა შევაფასოთ ის გარემოება, რომ საჭიროა მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. ანგარიში უნდა გავუწიოთ იმასაც, რომ მხედველობაში მიღებულ იქნას ვერსალის გაკვეთილები.

ერთ დროს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, დასავლეთში მოკლე ხნით დაიჯერეს ვერსალის ხელშეკრულება, თითქოს მან გადაწყვიტა გერმანიის მილიტარიზმისა და გერმანიის აგრესიის აღორძინებისაგან ევროპის სახელმწიფოთა დაცვის პრობლემა. ვერსალის ხელშეკრულების ავტორთა უსუსურობა და სიბეცე მოკლე ხანში გამომჟღავნდა. ვერსალმა არა მარტო ვერ უზრუნველყო ევროპის უშიშროება, არამედ იგი მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა იყო. ეს მნიშვნელოვანწილად იმითაც აიხსნება, რომ ეს იყო მჩაგვრელი ხელშეკრულება გერმანიის მიმართ, იგი სძულდა გერმანელ ხალხს, — და ამიტომ იგი განწირული იყო გარდუვალი და სამარცხვინო ჩაფუშვისათვის.

პარიზისა და ბონის შეთანხმებანი სულაც არ არის ვერსალის ხელშეკრულებაზე უკეთესი. აქ გადამწყვეტი ის არის, რომ ამ შეთანხმებებს საერთო არა აქვთ რა არც ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებთან, არც გერმანელი ხალხის ინტერესებთან. ეს შეთანხმებანი მხოლოდ დანამატია ყბადაღებული ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო დაჯგუფებისა.

პარიზისა და ბონის შეთანხმებების თანახმად ცდილობენ 50 წლით დატოვონ დასავლეთი გერმანია ნახევრადოკუპირებული ქვეყნის მდგომარეობაში, რომელიც მოკლებული იქნება ეროვნულ დამოუკიდებლობასა და

გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების გერლინის თათბირზე 1954 წლის 1 თებერვალს

(დასასრული)

აქვთ ერთი საერთო ნიშანი. ახალ შეთანხმებათა, ისე როგორც ვერსალის ხელშეკრულების მახვილი მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყველა ვერ ბედავს აშკარად და პატიოსნად ილაპარაკოს ამაზე. მაგრამ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, თავის დროზე არ შევმცდარვართ ვერსალის შეფასებაში. ვფიქრობთ, რომ არ ვცდებით არც ბონისა და პარიზის შეთანხმებათა შეფასებაში, აგრეთვე არც ამ შეფასების შესაბამის დასკვნებში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბონისა და პარიზის შეთანხმებათა ბედი ვერსალის ბედზე უკეთესი არ იქნება. ან ბონისა და პარიზის შეთანხმებათა განხორციელება არ მოხერხდება და ისინი იქნებიან მახინჯი, მკვდრად შობილნი, ანდა ამ შეთანხმებათა განხორციელების თვით დასაწყისი ამავე დროს იქნება იმ საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის გახრწნის დასაწყისი, რომელიც სურთ ამ შეთანხმებათა ბაზად გადაქცეონ.

საბჭოთა ხალხისაგან თქვენ არ შეგიძლიათ მოელოდეთ თანაგრძნობას ამ შეთანხმებებისადმი, რომლებიც მიმართულია სსრ კავშირის და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, ბონისა და პარიზის შეთანხმებათა ავტორებს არ გაუთვალისწინებიათ, რომ ისინი ცხოვრობენ XX საუკუნის შუახანებში. ჯერ კიდევ ვერსალის ხელშეკრულებამ ცხადყო, რომ ჩვენს საუკუნეში არ უნდა მივბაძოთ წარსულ დროთა, მათ შორის აგრეთვე XIX საუკუნის არათანასწორუფლებიან მჩაგვრელ ხელშეკრულებათა ყველაზე ცუდ ნიმუშებს. მით უფრო შეეხება ეს იმ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებსაც დღეს განვიხილავთ.

გვსურს ჩვენ ეს თუ არა, — ჩვენ კი ახალ ხანაში ვცხოვრობთ, — ანგარიში უნდა გავუწიოთ ახალი ისტორიის მოვლენებს. ბონისა და პარიზის შეთანხმებათა ავტორები ალბათ ფიქრობდნენ, რომ ეს მათ არ ეხება. და ამის შედეგად მათ შეთხზეს ისეთი პროექტები, რომლებიც არ ეგუება ჩვენი დროის რეალურ ვითარებას.

ამ პროექტებში თუ კი რამ რეალური არის, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არ შეეხებამება მშვიდობის ინტერესებს, ევროპის ხალხთა უშიშროების ინტერესებს. ამ პროექტებში სარგებლობას ნახავენ მხოლოდ გერმანელი რევანშისტები, რომლებიც ოცნებობენ რაც შეიძლება მალე დაიწყონ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა და თავიანთი სამხედრო მრეწველობის განვითარება. მათ აგრესიულ მისწრაფებას მიეცემა განხორციელების შესაძლებლობა, თუ ბონისა და პარიზის შეთანხმებანი ძალას მიიღებენ. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ბონისა და პარიზის შეთანხმებანი ემსახურებიან არა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმეს, არამედ ახალი აგრესიის, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების საქმეს.

სად არის გამოსავალი?

გამოსავალი, რასაკვირველია, არის. ეს გამოსავალი ის არის, რომ ჩვენმა ოთხმა სახელმწიფომ უარი თქვას იმის ცდაზე, რომ ერთმანეთს დაუპირისპირონ თავიანთი თავი, თუნდაც იმაში, რაც შეეხება მშვიდობის ინტერესებს, ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს. ძნელი არ არის გამოინახოს გამოსავალი, თუ ჩვენ ყველანი შევთანხმდებით, რომ არ დავუშვათ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება.

სწორედ ამ მიზნით საჭიროა გადაჭრას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი. გერმანელ ხალხს ესაჭიროება არა ბონისა და პარიზის შეთანხმებანი, რომლებიც აძლიერებენ ომის საფრთხეს, არამედ საზავო ხელშეკრულება. მხოლოდ საზავო ხელშეკრულება უზრუნველყოფს გერმანელი ხალხისათვის ნამდვილ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, უზრუნველყოფს როგორც საშინაო საქმეების, ისე იმ საქმეების თავისუფალ გადაჭრას, რომლებიც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობას შეეხება.

ჯერ კიდევ ორი წლის წინათ საბჭოთა მთავრობამ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს წარუდგინა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების თავისი პროექტი. მაგრამ დღემდე დასავლეთის სამ სახელმწიფოს არ გამოუთქვამს თავისი დამოკიდებულება ამ პროექტისადმი და არ შემოუტანია არავითარი თავისი წინადადება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. ასეთი დამოკიდებულება ხელს ვერ შეუწყობს ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას.

საზავო ხელშეკრულების საფუძვლების ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გერმანია აღდგენილ უნდა იქნას როგორც ერთიანი და დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო.

მაოკუპირებელ სახელმწიფოთა მთელი შეიარაღებული ძალები გაყვანილ უნდა იქნან გერმანიიდან არა უგვიანეს ერთი წლისა საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

წინათ შემოტანილ პროექტს საჭიროდ მიგვაჩნია ნაწილში „პოლიტიკური დებულებანი“ დავუმატოთ შემდეგი:

„გერმანიას არ დაეკისრება არავითარი პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის ვალდებულება, რომლებიც გამომდინარეობს იმ ხელშეკრულებებიდან ან შეთანხმებებიდან, რომლებიც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობების მიერ დადებული იქნება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერამდე და ერთიან სახელმწიფოდ გერმანიის გაერთიანებამდე“.

ასეთ წინადადებას არ უნდა გაეწიოს წინააღმდეგობა, თუ ბ-ნ იდენის დამმშვიდებელი განცხადება წინა სხდომაზე შეესაბამება ამ თათბირზე წარმოდგენილ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობების აზრს.

გერმანიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა იქნება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული აგრეთვე ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ამასთან დაკავშირებით სასურველად მიგვაჩნია ჩვენს პროექტს დავუმატოთ შემდეგი დებულება:

„გერმანია მთლიანად თავისუფლდება ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირისათვის ომისშემდგომი სახელმწიფო ვალების გადახდისაგან, გარდა სავაჭრო ვალდებულებებით დავალიანებისა“.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი ითვალისწინებს, რომ დემოკრატიულ გერმანიას ეყოლება თავისი ეროვნული შეიარაღებული ძალები, რაც საჭიროა სახელმწიფოს თავდაცვისათვის. ამ საკითხის დაზუსტების მიზნით წინადადება შემოგვაქვს ნაწილში „სამხედრო დებულებანი“, შეტანილ იქნას შემდეგი დამატება, სახელდობრ:

„ამ შეიარაღებული ძალების ოდენობა განსაზღვრული იქნება საშინაო ხასიათის ამოცანების, საზღვრების აღგილობრივი თავდაცვისა და ჰაჰაერო თავდაცვის ამოცანების შესაბამისად“.

ასეთი მდგომარეობა შეეხებამება იმას, რაც არის ჩვენი მთავრობების მიერ უკვე ხელმოწერილ შესაბამის საზავო ხელშეკრულებებში.

როცა საქმე ეხება იმას, რომ საჭიროა დაჩქარდეს საზავო ხელშეკრულების მომზადება, ჩვეულებრივ გამონახავენ ხოლმე სხვადასხვაგვარ საწინააღმდეგო აზრს, რომლებიც იწვევენ საქმის გაჭიანურებას. ამბობენ, რომ საჭიროა არ არის საზავო ხელშეკრულების მომზადება, სანამ არ შეიქმნება სრულიად გერმანიის მთავრობა. მაგრამ ამგვარი საწინააღმდეგო აზრი არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს წინათ შესაძლებლად მიაჩნდათ, რომ ოთხმა სახელმწიფომ მოამზადოს საზავო ხელშეკრულების პროექტი ჯერ კიდევ სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნამდე.

სწორედ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის თათბირზე 1947 წელს ამბობდა: „ის, რის მიღწევასაც ვესწრაფოდი, არის ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომ ეს ორი მოვლენა ერთსა და იმავე დროს მომხდარიყო, ე. ი. რომ გერმანიის მთავრობის შექმნის მომზადება და საზავო ხელშეკრულების მომზადება ერთსა და იმავე დროს ხდებოდეს, და როგორც კი დამთავრდება ამ ხელშეკრულების მომზადება, თავის ადგილზე იქნება გერმანიის მთავრობა, რომელიც შეძლებს ჩამოაყალიბოს თავისი შეხედულებანი. მე მხედველობაში მქონდა, რომ ეს ორი საქმე ერთსა და იმავე დროს მოხდებოდა“.

ინგლისის მთავრობის ამ პოზიციას ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობებიც იზიარებდნენ.

რა თქმა უნდა, საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა შეუძლია მხოლოდ სრულიად გერმანიის მთავრობას, რომელსაც შექმნის თავისუფალი არჩევნების საფუძველზე არჩეული პარლამენტი. ერთ-ერთი ჩვენი ძირითადი მოვალეობა ის არის, რომ დავაჩქაროთ თავისუფალი არჩევნების მოწყობა.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ საკითხის გარშემო გაჭიანურებული დავა საზავო ხელშეკრულების მომზადებაზე უარის საბაბი უნდა გახდეს. საზავო ხელშეკრულების მომზადება დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, ოთხი სახელმწიფოს პოზიციების შეთანხმებაზე, რაც დაუსრულებლივ არ უნდა გადავდოთ. ამ საქმისათვის დიდი ხანია უნდა მოგვეკიდა ხელი.

ამასთან საბჭოთა მთავრობა იმ აზრისაა, რომ გერმანიის წარმომადგენლებმა ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ საზავო ხელშეკრულების მომზადების ყველა სტადიაზე. მას მიაჩნია, რომ სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნამდე საზავო ხელშეკრულების მომზადებაში შეიძლება ჩავაბათ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები. საზავო ხელშეკრულების საბოლოო განხილვა და მიღება კი უნდა მოხდეს სრულიად გერმანიის მთავრობის მონაწილეობით, რომელიც შეიქმნება სრულიად გერმანიის არჩევნების საფუძველზე, ამასთან საზავო ხელშეკრულება უნდა დაამტკიცოს სრულიად გერმანიის პარლამენტმა.

აქედან ჩანს, რომ საბჭოთა მთავრობა მოითხოვს დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის მოსამზადებლად, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წინადადებანი მოსწავლეებენ ამ საკითხის გადაჭრის შემდგომ გაჭიანურებას.

საზავო ხელშეკრულების მომზადების დაწყების თვით ფაქტი იმის დამადასტურებელი იქნებოდა, რომ ჩვენ შევედით გერმანიის საკითხზე ერთობლივი მუშაობის ახალ, უაღრესად დიდმნიშვნელოვან ეტაპში, რომლის მსვლელობაშიც ჩვენ შეგვეძლება გადავლახოთ არსებული უთანხმოებანი სადავო საკითხებზე. ეს ხელს შეუწყობდა გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოებას და ცალკეული საკითხების გადაჭრის დაჩქარებას, რომლებიც გერმანიის პრობლემას შეეხება, მათ შორის სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნას და სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობას. ამ წინადადებათა შესაბამისად საბჭოთა დელეგაცია გადასცემს ამ თათბირს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების თავის შევსებულ პროექტს, აგრეთვე თავის პროექტს „გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების და გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხზე საზავო კონფერენციის მოწვევის“ შესახებ.

საბჭოთა დელეგაციას იმედი აქვს, რომ საფრანგეთის, ინგლისისა და შეერთებული შტატების მინისტრები, რომლებიც აქ ესწრებიან, გამოთქვამენ თავის აზრს ამ წინადადებათა შესახებ. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ ჩვენ შევთანხმდეთ საზავო ხელშეკრულების მომზადების დაჩქარების შესახებ და გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხზე საზავო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

რაც შეეხება ბ-ნ ბიდოს მიერ დღეს გაკეთებულ შენიშვნებს, საბჭოთა დელეგაცია გამოთქვამს თავის აზრს ამის შესახებ. ჩვენ ჯეროვანი ყურადღებით შევისწავლით აგრეთვე ბ-ნ იდენის დღევანდელ შენიშვნებს.

მე ისღა დამრჩენია დავძინო, რომ საბჭოთა დელეგაცია თავის წინადადებებს შემოიტანს სხვა საკითხებზე, რომლებიც გერმანიის პრობლემას შეეხება.

საბჭოთა მთავრობის პროექტი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიასთან ომის დამთავრების დროიდან თითქმის 9 წელი გავიდა, ხოლო გერმანიას ჯერ კიდევ არა აქვს საზავო ხელშეკრულება, გათიშულ მდგომარეობაშია, კვლავ არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში იმყოფება სხვა სახელმწიფოთა მიმართ. ასეთი არანორმალურ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ეს შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფებებს. თუ მალე არ დაიდო გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება, ისე შეუძლებელია გერმანელი ხალხის კანონიერი ეროვნული ინტერესებისადმი სამართლიანი დამოკიდებულების უზრუნველყოფა.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება შესაძლებელს გახდის საბოლოოდ გადაიჭრას მეორე მსოფლიო რმის შედეგად წამოჭრილი საკითხები. ამ საკითხების გადაჭრით სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ჰიტლერული აგრესიით დაზარალდნენ, განსაკუთრებით გერმანიის მეზობლები. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობს მთლიანად საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას და ამით ხელს შეუწყობს მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების საჭიროება ნაკარნახევია იმით, რომ გერმანიის მილიტარიზმის, რომელმაც ორჯერ გაანადგურა მსოფლიო ომი, აღდგენის საფრთხე თავიდან არ არის აცილებული, რადგან ჯერ კიდევ შეუსრულებელია პოტსდამის კონფერენციის შესაბამისი დადგენილებანი. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებამ უნდა უზრუნველყოს გერმანიის მილიტარიზმისა და გერმანიის აგრესიის აღორძინების შესაძლებლობის თავიდან აცილება.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება დაამყარებს გერმანელი ხალხისათვის მშვიდობის მტკიცე რობებს, ხელს შეუწყობს გერმანიის როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს განვითარებას პოტსდამის დადგენილებათა შესაბამისად და უზრუნველყოფს გერმანელი ხალხისათვის სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის შესაძლებლობას.

ამის შესაბამისად საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ დაიწყონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შემუშავება.

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს მიაჩნიათ, რომ საზავო ხელშეკრულების მომზადება უნდა განხორციელდეს გერმანიის მონაწილეობით სრულიად გერმანიის მთავრობის სახით და რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება აგებულ უნდა იქნას შემდეგ საფუძვლებზე:

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლები

მონაწილენი

დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ჰოლონდია, ჩეხოსლოვაკია, ბელგია, ჰოლანდია და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ ომში.

პოლიტიკური დებულებანი

1. გერმანია აღდგენილ იქნება როგორც ერთიანი სახელმწიფო. ამით ბოლო მოეღება გერმანიის გათიშვას და ერთიანი გერმანია მიიღებს განვითარების შესაძლებლობას როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო.

2. მაოკუპირებელ სახელმწიფოთა მთელი შეიარაღებული ძალები გაყვანილ უნდა იქნან გერმანიიდან არაუგვიანეს ერთი წლისა საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან. ამასთან ერთად ლიკვიდირებულ იქნება უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზა გერმანიის ტერიტორიაზე.

3. გერმანელი ხალხისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას დემოკრატიული უფლებები, რათა გერმანიის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა, სარგებლობდეს ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით, მათ შორის სიტყვის, პრესის, რელიგიური კულტის, პოლიტიკური რწმენისა და კრების თავისუფლებით.

4. გერმანიაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების თავისუფალი საქმიანობა და უფლება მიეცეთ მათ თავისუფლად გადაწყვიტონ თავიანთი საშინაო საქმეები, მოაწყონ ყრილობები და კრებები, ისარგებლონ პრესისა და გამოცემათა თავისუფლებით.

5. გერმანიის ტერიტორიაზე დაშვებულ არ უნდა იქნას დემოკრატიისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმისადმი მტრული ორგანიზაციების არსებობა.

6. გერმანიის არმიის ყველა სამხედრო მოსამსახურეს, მათ შორის ოფიცრებსა და გენერლებს, ყველა ყოფილ ნაცისტს, გარდა იმათი, ვინც სასამართლოს განაჩენით სასჯელს იხდის ჩადენილი დანაშაულისათვის, უნდა მიეცეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებანი ყველა სხვა გერმანელ მოქალაქესთან თანაბრად მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის მშენებლობაში მონაწილეობისათვის.

7. გერმანია კისრულობს არ შევიდეს რაიმე კოალიციაში ან სამხედრო კავშირში, რომელიც მიმართული იქნება რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ, ვინც თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდა გერმანიის წინააღმდეგ ომში.

8. გერმანიას არ დაეკისრება არავითარი პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის ვალდებულება, რომლებიც გამომდინარეობენ იმ ხელშეკრულებებიდან ან შეთანხმებებიდან, რომლებიც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობების მიერ დადებული იქნება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერამდე და ერთიან სახელმწიფოდ გერმანიის გაერთიანებამდე.

ტერიტორია

გერმანიის ტერიტორიას ექნება ის საზღვრები, რომლებიც დაწესებულია დიდ სახელმწიფოთა პოტსდამის კონფერენციის დადგენილებებით.

ეკონომიური დებულებანი

1. გერმანიას არ დაეკისრება არავითარი შეზღუდვა მისი მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებაში, რომელიც უნდა ემსახურებოდეს გერმანელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

გერმანიას არ ექნება არავითარი შეზღუდვა სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის მხრივ, ზღვაოსნობაში, მსოფლიო ბაზრებზე მონაწილეობაში.

2. გერმანია მთლიანად თავისუფლდება ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირისათვის ომისშემდგომი სახელმწიფო ვალების გადახდისაგან, გარდა სავაჭრო ვალდებულებებით დავალიანებისა.

სამხედრო დებულებანი

1. გერმანიას ნება მიეცემა იყოლიოს თავისი ეროვნული შეიარაღებული ძალები (სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო), რაც საჭიროა სახელმწიფოს თავდაცვისათვის.

ამ შეიარაღებული ძალების ოდენობა განისაზღვრება საშინაო ხასიათის, საზღვრების ადგილობრივი თავდაცვისა და საჰაერო თავდაცვის ამოცანების შესაბამისად.

2. გერმანიას ნება მიეცემა დაამზადოს სამხედრო მასალები და ტექნიკა, რომელთა რაოდენობა და ტიპები არ უნდა სცილდებოდეს იმ ფარგლებს, რაც ესაჭიროება საზავო ხელშეკრულებით გერმანიისათვის დაწესებულ შეიარაღებულ ძალებს.

გერმანია და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ის სახელმწიფოები, რომლებმაც დადეს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, მხარს დაუჭერენ გერმანიის მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებისა და გერმანიის საზავო ხელშეკრულებისათვის საზავო კონფერენციის მოწვევის შესახებ

1. ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის საკითხზე წინათ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, დაევალოს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებს სამი თვის განმავლობაში მოამზადონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტი.

2. შესაძლებლობა მიეცეს მოკავშირე სახელმწიფოებს, რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის წინააღმდეგ ომში, ჩამოაყალიბონ თავიანთი პოზიციები გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე საზავო ხელშეკრულების პროექტის მომზადების დროს.

3. გათვალისწინებულ იქნას გერმანიის წარმომადგენელთა სათანადო მონაწილეობა საზავო ხელშეკრულების მომზადების ყველა სტადიაში. სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნამდე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთ გერმანიისა და დასავლეთ გერმანიის არსებულ მთავრობათა წარმომადგენლები.

4. მოწვეულ იქნას ექვსი თვის განმავლობაში და ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 1954 წლის ოქტომბრისა საზავო კონფერენცია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის განსახილველად ამ კონფერენციაში სათანადო დაინტერესებულ სახელმწიფოთა და აგრეთვე გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების გერლინის თათბირი

ბერლინი, 1 თებერვალი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი გაიხსნა გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის რეზიდენციაში უნტერ დენ ლინდენზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. მ. მოლოტოვი.

მინისტრები განაგრძობდნენ დღის წესრიგის მეორე პუნქტის განხილვას — „გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები“.

ბიდომ გააკეთა შენიშვნები განსახილველი საკითხის შესახებ. მან კვლავ დაადასტურა, რომ ეთანხმება იმ გეგმის ძირითად ნიშნებს, რომელიც იდენმა წარადგინა მინისტრების სხდომაზე 29 იანვარს. ბიდო ამტკიცებდა, რომ ეს გეგმა შეიძლება საფუძვლად დაედოს საკითხის განხილვას, და უფლება დიტოვა კამათის მსვლელობაში გაკეთოს დამატებითი შენიშვნები, ჯერჯერობით, თქვა ბიდომ, დავჯერდები შენიშვნებს იმ სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობის საკითხზე, რომელსაც ითვალისწინებს იდენის გეგმა. როგორც ცნობილია, აღნიშნული გეგმის მიხედვით, ეს კომისია უნდა შედგებოდეს ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან, მასში ნეიტრალური პირების მონაწილეობით თუ მონაწილეობის მიუღებლად, და ახორციელებდეს კონტროლს სრულიად გერმანიის არჩევნების ჩატარებისადმი. ბიდომ განაცხადა, რომ იგი ამჯობინებს სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლები, რაც, მისი სიტყვით, ეაადვილებს ამ კომისიაში უმრავლესობის პრინციპის გამოყენებას გადაწყვეტილებათა მიღების დროს.

შემდეგ ბიდო შეეხო 30 იანვრის სხდომაზე ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას, რომელშიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა დელეგაციის პირველი შენიშვნები იდენის გეგმის გამო.

ბიდომ განაცხადა, რომ მას მოლოტოვის შენიშვნების „დადებით ელემენტად“ მიაჩნია ის გარემოება, რომ ამ შენიშვნებში მნიშვნელობა ენიჭება სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების ჩატარებას. ამასთან ბიდო ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ნამდვილად თავისუფალი არჩევნები თითქოს შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას იდენის წინადადებათა საფუძველზე.

შემდეგ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შეეხო ვ. მ. მოლოტოვის მოსაზრებას, რომ საბჭოთა მთავრობა იმის მომხრეა, რომ სრულიად გერმანიის არჩევნების შედეგად გერმანიის სახელმწიფო ნამდვილად თავისუფალი იყოს და ხელფეხი ნამდვილად გახსნილი ჰქონდეს, როგორც თავის საშინაო, ისე თავის საგარეო პოლიტიკაში. ეს, როგორც ვ. მ. მოლოტოვმა თავის 30 იანვრის განცხადებაში ცხადყო, არ გამომდინარეობს იდენის გეგმიდან. მიუხედავად ამისა, ბიდო ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა დელეგაციის მიერ გამოთქმული მოსაზრება შეესაბამებოდეს თეზისებს, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოები იცავდნენ თავიანთ ნოტებში საბჭოთა კავშირისადმი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. ბიდომ განაცხადა, რომ იდენის გეგმით, ისე როგორც მას, ბიდოს, ეს გეგმა ესმის, საქმე იმას კი არ ეხება, რომ მთელ გერმანიაზე ავტომატურად გავრცელდეს ის საგარეო-პოლიტიკური ვალდებულებანი, რომლებსაც ხელი მოაწერა ბონის მთავრობამ, მათ შორის პარიზის შეთანხმებაც „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“ გერმანიის შეყვანის შესახებ. მან დასძინა, რომ საფრანგეთი გერმანიის გაერთიანების პირობად არ მოითხოვს იმას, რომ გერმანია შედიოდეს „თავდაცვითს გაერთიანებაში“, მაგრამ, მეორე მხრივ, შესაძლებლად არ მიაჩნია აუკრძალოს ეს გერმანიას.

ბიდომ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ემხრობა იდენის გეგმის იმ მუხლებს, რომლებიც ითვალისწინებენ მაოკუპირებელ სახელმწიფოთა ყოველგვარ მეთვალყურეობას, როგორც გერმანიაში არჩევნების მომზადების, ისე ამ არჩევნების ჩატარებისადმი, და რომლებიც ნაკარნახევია გერმანიის დემოკრატიული ძალებისადმი უნდობლობით. ფაქტების მიუხედავად, ბიდო იცავდა ბონის შეთანხმებას, როგორც ისეთს, რომელიც თითქოს მიზნად ისახავს დაიჩაროს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს შეთანხმება დიდი ხნით ანიჭებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს მაოკუპირებელ სახელმწიფოთა უფლებებს დასავლეთ გერმანიაში.

ბიდომ შემდეგ გამოვიდა იდენი, რომელმაც განაცხადა, რომ დღის წესრიგის იმ მეორე პუნქტის ფორმულირებაში, რომელსაც მინისტრები ახლა განიხილავენ, გერმანიის საკითხი დაკავშირებულია ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემასთან. ეს, თქვა იდენმა, ბ-ნ მოლოტოვის რედაქციაა, და მე სავსებით ვეთანხმები იმას, რომ სწორი იქნება ეს ორი პრობლემა ასეთი რიგით დავაყენოთ. გერმანიის პრობლემის გადაწყვეტა, თქვა მან, უნდა შეიცავდეს ევროპის უშიშროების გარანტიებს. ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ გერმანელ ხალხს მივცეთ შესაძლებლობა იცხოვროს თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში, რათა მან თავისი ადგილი დაიკავოს მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა შორის. ეს პრინციპი შეტანილია პოტსდამის შეთანხმებაში, და ბ-ნმა მოლოტოვმა მოიხსენია იგი 25 იანვარს. ჩვენ

(დასასრული მე-4 გვერდზე).

საბჭოთა კავშირ—საფრანგეთის სავაჭრო უფლებათა ურთიერთობისათვის

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1953 წლის 15 ივლისის სავაჭრო შეთანხმების დებულებათა შესაბამისად მოსკოვში 1954 წლის 19-დან 28 იანვრამდე მიმდინარეობდა ორივე მხარის წარმომადგენელთა ერთობლივი სხდომები იმ მიზნით, რომ განეხილათ მიღწეული შედეგები და მიეღოთ ღონისძიებანი ორივე ქვეყანას შორის ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის.

ხსენებულმა წარმომადგენლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ შეთანხმების მოქმედების პირველი წლისათვის დაწესებული, ორივე მხარის მიერ მისაწოდებელი საქონლის სიების ძალაში შესვლიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ საქონლის მეტი ნაწილი ამ სიების მიხედვით უკვე მიწოდებული ან შესყიდულია და რომ შეთანხმებამ შესაძლებელი გახადა 1953 წელს 1952 წელთან შედარებით ერთიორად გადიდებულიყო საქონელბრუნვა ორ ქვეყანას შორის.

წარმომადგენელნი შეთანხმდნენ გადიდდეს საქონლის მიწოდება შეთანხმების მოქმედების პირველი წლის ბოლომდე, აგრეთვე გამოთქვეს ორივე მხარის სურვილი — მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა შემდგომ გადიდდეს საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის.

საფრანგეთის ეკონომიურ დელეგაციას აღნიშნულ მოლაპარაკებაში მეთაურობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური დეპარტამენტის უფროსი პ. შარპანტიე, ხოლო საბჭოთა დელეგაციას — საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სახელშეკრულებო სამართლის სამმართველოს უფროსი კ. კ. ბახტოვი.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების გერლინის თათბირი

(დასასრული)

ბოვალენი ვართ დავიცვათ ეს პრინციპი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პოტსდამის შეთანხმების ყველა პირობა შეიძლება გამოვიყენოთ დღეს.

იდენი დათანხმდა, რომ საჭიროა იყოს იმის გარანტიები, რომ არ განახლდება გერმანიის აგრესია, და ამტკიცებდა, რომ ოთხი სახელმწიფოს მიზნები გერმანიის საკითხში ერთნაირია. ჩვენ მხოლოდ იმაში არ ვეთანხმებით ერთმანეთს, განაცხადა მან, თუ როგორ მივაღწიოთ ამ მიზნებს. იდენმა თქვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა განზრახვაა შეიყვანონ გერმანია მშვიდობისმოყვარე ხალხთა შემადგენლობაში და ამტკიცებდა, თიოქოს ამის გზას წარმოადგენდეს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნა. გაიმეორა რა ძველი, დიდი ხნის ცნობილი და დიდი ხანია გაბათილებული არგუმენტები „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ დასაცავად, იდენი ამტკიცებდა, თითქოს ეს გაერთიანება თავდაცვითი ხასიათისა იყოს, თითქოს იგი არ ემსახურებოდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიის მომზადების საქმეს და მიზნად არ ისახავდეს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას.

შეაჯამა რა, როგორც მან თქვა, დასავლეთის სამი სახელმწიფოს პოზიციები, იდენმა განაცხადა, რომ ისინი ვერ დაუბრუნდებიან „ოთხი სახელმწიფოს კონტროლის ტიპს“, რომელსაც პოტსდამის შეთანხმება ითვალისწინებს, და უფრო გონივრულად მიაჩნიათ „გერმანიის გაერთიანება ევროპის სხვა ქვეყნებთან“.

იდენმა განაცხადა, რომ იგი არ აპირებს მოითხოვოს, რომ სრულიად გერმანიის მთავრობამ წინასწარვე იკისროს ვალდებულება — მიიღოს ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ან რაიმე სხვა საერთაშორისო ვალდებულებანი. მაგრამ მან დასძინა, რომ, როგორც დასავლეთის სახელმწიფოებს მიაჩნიათ, სრულიად გერმანიის მთავრობა „მოისურვებს გააკეთოს ეს“.

შეეხო რა ვ. მ. მოლოტოვის შენიშვნას, რომ სრულიად გერმანიის არჩევნების შესახებ წინადადებებს, რომლებსაც ინგლისის გეგმა ითვალისწინებს, ახასიათებს ის ნაკლი, რომ უნდობლობას უცხადებენ გერმანიის დემოკრატიულ ძალებს, იდენი კვლავ დაჟინებით მოითხოვდა, რომ სრულიად გერმანიის არჩევნები უნდა მომზადდეს და ჩატარდეს მაოკუპირებელ სახელმწიფოთა კონტროლით, და ცდილობდა დამტკიცებინა, თითქოს ასეთი არჩევნები შეიძლება გახდეს გერმანელი ხალხის ნების ნამდვილი გამოხატვის საშუალება.

შემდეგ განცხადება „გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები“ გააკეთა ვ. მ. მოლოტოვმა.

(ვ. მ. მოლოტოვის განცხადება ცალკე ქვეყნდება გაზეთის ამავე ნომერში).

თავისი განცხადების დამთავრების შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრებს გადასცა ტექსტები საბჭოთა დელეგაციის ორი წინადადებისა: „საბჭოთა მთავრობის პროექტი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ“ და „გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებისა და გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხზე საზავო კონფერენციის მოწვევის შესახებ“.

ამით დამთავრდა სხდომა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმი გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ

ბერლინი, 31 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდში“ დღეს გამოქვეყნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის უწყების ცნობა, რომ ამა წლის 30 იანვარს გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა მას შემდეგ, რაც გააცნო სხდომას, თუ როგორ მიმდინარეობს ბერლინის თათბირი, წაიკითხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმი საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისადმი, სადაც გამოთქმულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისი გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

მემორანდუმთან ერთად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისადმი გაუგზავნა პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლის ხელმოწერილი წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირმა არ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1954 წლის 24 იანვრის იმ თხოვნის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებს მიეღოთ მონაწილეობა თათბირზე გერმანიის საკითხის განხილვაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ხელმძღვანელობს რა გერმანელი ერის წინაშე და მშვიდობის საქმის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, თავის ეროვნულ მოვალეობად მიაჩნია წერილობით გამოთქვას თვალსაზრისი გერმანიის საკითხის გადაჭრის შესახებ“.

მემორანდუმის პრეამბულაში ნათქვამია:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მთელი გერმანიის მშვიდობისმოყვარე მოსახლეობასთან სრული თანხმობით გულწრფელად მიესალმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებულ შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას ბერლინში. გერმანელი ხალხი გამსჭვალულია მხურვალე სურვილით, რომ ბერლინის თათბირს მოჰყვეს ისეთი შედეგები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და მიუახლოებენ გერმანიას იმას, რომ დადოს საზავო ხელშეკრულება და გაერთიანდეს დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე“.

მემორანდუმში აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დაუცხრომლად ცდილობდა და განეხორციელა ზმაღ ანის კვლავაც შეიტანოს თავისი წვლილი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და ერთიანი დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანიის შექმნის საქმეში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავის მემორანდუმში აღნიშნავს, რომ გერმანელ ხალხს კანონიერი უფლება აქვს მოითხოვოს დაიდოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება და ხაზგასმით აცხადებს, რომ ერთიანი გერმანიის შექმნა გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალების სურვილების შესაბამისად უნდა ეყრდნობოდეს პოტსდამის შეთანხმების პრინციპებს. მემორანდუმში ნათქვამია, რომ პოტსდამის შეთანხმების შესრულების შედეგად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღმოიფხვრა იმპერიალისტური, მილიტარისტული და ნაცისტური ძალები და შეიქმნა ახალი, დემოკრატიული წყობილება და რომ პოტსდამის შეთანხმების დარღვევისა და გერმანიის გათიშვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ დასავლეთის სახელმწიფოების საოკუპაციო ხელისუფლებს და გერმანელ მონოპოლისტებს.

ეხება რა იმას, თუ რა გარემოებებმა განაპირობეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, და აღნიშნავს რა ამ ფაქტის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ხაზგასმით აცხადებს:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ძალიან იმის შედეგად, რომ გერმანელი ხალხი ეროვნულ წინააღმდეგობას უწევს გერმანიის გათიშვის პოლიტიკას, იმას, რომ დასავლეთის სახელმწიფოები და დასავლეთ გერმანიის რეაქციული ძალები უკანონოდ ქმნიან დასავლეთ გერმანიის სპარატულ სახელმწიფოს, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება პოტსდამის შეთანხმების დებულებებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, ხაზგასმით არის აღნიშნული მემორანდუმში, შეესაბამება პოტსდამის შეთანხმებით გერმანელი ხალხისათვის გარანტირებულ უფლებას — აშენოს თავისი ცხოვრება დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე და თავისი აღგილი დაიკავოს მსოფლიოს თავისუფალ და მშვიდობისმოყვარე ხალხთა შორის.

მემორანდუმში ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არაერთხელ გადაუდგამს ნაბიჯი, რათა უზრუნველეყო სრულიად გერმანიის შეთანხმება, და აღნიშნულია, რომ აღენაურის მთავრობა უგულებელყოფდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივას და ამით აბრკოლებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის შეთანხმების განხორციელებას.

შემდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ვრცლად ასაბუთებს იმ დებულებას, რომ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებები შეუთავსებელია გერმანიის გაერთიანებასთან. ეყრდნობა რა მდიდარ ფაქტიურ მასალას, იგი ამხილებს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ სამხედრო ხელშეკრულების აგრესიულ არსს, სამხედრო ხელშეკრულებისა, რომელსაც ბონის მთავრობასთან ერთად ესოდენ გულმოდგინედ აქებენ და აღიდებენ ძველი მილიტარისტული და ფაშისტური ძალები, რომლებმაც კვლავ წამოჰყვეს თავი დასავლეთ გერმანიაში.

„დასავლეთ გერმანიაში გერმანული მილიტარიზმის აღდგენა, — ნათქვამია მემორანდუმში, — რომელიც უნდა დამთავრდეს ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების საშუალებით, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის გერმანიის მეზობელ ქვეყნებს და მომაკვდინებელ საფრთხეში აგდებს თვით გერმანელ ხალხს“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ხელშეკრულება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ნიშნავს ევროპაში აგრესიის ყველაზე საშიში კერის აღდგენას, რაც წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს ევროპის უშიშროებისა და მშვიდობისათვის, აგრეთვე თვითონ გერმანელი ხალხის სიცოცხლისათვის“.

მემორანდუმი აგრეთვე ცხადყოფს თუ რა დამლუბველ შედეგებს უქადის გერმანელ ხალხს დასავლეთ გერმანიაში კაბალური, ეგრეწოდებული „საერთო ხელშეკრულება“, რომელიც 50 წლით აკანონებს დასავლეთ გერმანიის ოკუპაციას.

ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ და მასთან დაკავშირებული „საერთო ხელშეკრულება“ ახალ სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნიან გერმანიის გაერთიანების გზაზე, რადგან ისინი უარს ეუბნებიან გერმანელ ხალხს ეროვნული თვითგამორკვევის უფლებასა და დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უფლებაზე. მაგრამ ეს განუყოფელი უფლებები გარანტირებული უნდა იყოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებით და გერმანიის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ინტერესები ეკრძალებოდეს ბონისა და პარიზის ხელშეკრულებებში.

ბონისა და პარიზის ხელშეკრულებები, — ხაზგასმით აღნიშნავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, — რომლებიც ხელს უწყობენ აგრესიული გერმანული მილიტარიზმის აღდგენას, ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენენ გერმანიაში თავისუფალი არჩევნებისათვის. ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა გაუქმება ნამდვილად თავისუფალი არჩევნების წინაპირობაა.

მემორანდუმში აღნიშნულია, რომ საჭიროა გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენელთაგან შეიქმნას სრულიად გერმანიის დემოკრატიული ორგანო, რომელიც იმუშავებს თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების მომზადებისა და ჩატარების საკითხზე და განიხილავს ამასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ აღენაუერი ეგრეთწოდებული „თავისუფალი არჩევნების“ სახით გულისხმობს ისეთ არჩევნებს, რომელიც დაკანონებს რემილიტარიზაციისა და ომის მომზადების პოლიტიკას, რასაც დასავლეთ გერმანელი რევანშისტები ახორციელებენ.

გერმანელ ხალხს, — ნათქვამია მემორანდუმში, — არა სურს მილიტარისტული და რევანშისტული არჩევნები. მას არა სურს არჩევნები უცხო სახელმწიფოთა კონტროლითა და ჩარევით, არა სურს შანტაჟსა და მოტყუებაზე აგებული არჩევნები, რომელსაც იყენებენ ფაშისტური დიქტატურის აღდგენისა და დასავლეთ გერმანელი რევანშისტების გეგმების განხორციელების შესანიღბავად. მას სურს თავისუფალი არჩევნები დემოკრატიულ საფუძველზე ისე, რომ სავსებით დაცულ იქნას მისი თვითგამორკვევის ეროვნული უფლება, არჩევნები, რომელიც უნდა მოამზადოს სრულიად გერმანიის დროებითმა მთავრობამ.

შემდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანელი ხალხი მოითხოვს დადონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება.

„შეგნებული აქვს რა, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება გერმანიის საკითხის მშვიდობიანი და მტკიცე გადაჭრის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, — ნათქვამია მემორანდუმში, — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სერიოზულად ცდილობდა და ცდილობს გააადვილოს ამ მიზნის მიღწევა. 1952 წლის 13 თებერვალს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თხოვა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს დაეჩქარებინათ საზავო ხელშეკრულების დადება. სსრ კავშირის მთავრობამ დადებითი პასუხი გასცა ამ თხოვნაზე და 1952 წლის 10 მარტს დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს წარუდგინა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების პროექტი და მოითხოვა მისი განხილვა. სამწუხაროდ, დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს დღემდე არ გამოუთქვამთ თავიანთი თვალსაზრისი ამ პროექტზე და არ წარმოუდგენიათ საკუთარი წინადადებანი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანიის სახელმწიფოს დემოკრატიული და თავისუფალი განვითარება და დაკმაყოფილდეს გერმანიის მეზობელ სახელმწიფოთა სამართლიანი მოთხოვნა, რომ საფრთხე არ მოელოდეთ გერმანიის ახალი აგრესიისაგან, ხა ამით შეტანილ იქნას წვლილი ევროპის მშვიდობის განმტკიცების საქმეში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აზრით, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შემდეგ უმნიშვნელოვანეს დებულებებს:

გერმანია აღდგენილ იქნება როგორც ერთიანი და სუვერენული სახელმწიფო.

გერმანიას შესაძლებლობა ეძლევა ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს სხვა სახელმწიფოებთან. გერმანიის თანასწორუფლებიანობა გარანტირებულია.

საზავო ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოები მხარს დაუჭერენ გერმანიის თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი მიღების შესახებ.

საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში მოაკუპირებელ სახელმწიფოთა მთელი შეიარაღებული ძალები დატოვებენ გერმანიის ტერიტორიას. იმავე პერიოდის მანძილზე გერმანიაში მოისპობა უცხოელთა ყველა სამხედრო ბაზა.

გერმანია თავისი მოქალაქეებისათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა ან რელიგიისა, უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს და ყველა ძირითად დემოკრატიულ უფლებას, როგორიც არის: სიტყვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, სარწმუნოების თავისუფლება, პოლიტიკური რწმენის თავისუფლება და კრებების თავისუფლება. ყველა გერმანელი მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე.

გერმანია უზრუნველყოფს თავის მოქალაქეთა უფლებას — გაერთიანდნენ დემოკრატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებში. ამ დემოკრატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა ეძლევათ თავისუფლად განახორციელონ ყოველგვარი საქმიანობა.

გერმანია არ დაუშვებს ისეთი ორგანიზაციების არსებობას და საქმიანობას, რომელთა მიზანია წაართვან ხალხს მისი დემოკრატიული უფლებები და დაარღვიონ ხალხთა მშვიდობიანი ურთიერთობა. კერძოდ, გერმანია ყველა საჭირო ღონისძიებას მიიღებს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ომის ყოველგვარ პროპაგანდას, ხალხთა შორის მტრობის ან რასობრივი სიძულვილის პროპაგანდას, ატომური იარაღის ან მასობრივი მოსპობის ისეთ სხვა საშუალებათა გამოყენების პროპაგანდას, როგორიცაა შხამი, რადიოაქტიური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური საშუალებანი.

გერმანია კისრულობს ვალდებულებას არ მიიღოს მონაწილეობა კოალიციებში და არ შევიდეს სამხედრო კავშირებში, რომლებიც მიმართულია რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის შეიარაღებული ძალები მონაწილეობას იღებდნენ ომში გერმანიის წინააღმდეგ.

გერმანიის საზღვრები შეესაბამება დადგენილებებს, რომლებიც ჩაწერილია პოტსდამის შეთანხმებაში.

გერმანიის მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარება არაფრით არ იქნება შეზღუდული. გერმანიას ეძლევა შეუზღუდველი უფლება თავისუფლად ივაჭროს მსოფლიო ბაზარზე, აგრეთვე თავისუფალი საზღვაო ნაოსნობის უფლება. გერმანიის საგარეო ვაჭრობა არაფრით არ იქნება შეზღუდული.

ყველა მოთხოვნა გერმანიისადმი, წარმოშობილი ომთან დაკავშირებით, შესრულებულია იმით რომ 1945 წლიდან გერმანიამ გადაიხადა სარეპარაციო და სხვა გადასახდელები.

გერმანიას უფლება ეძლევა შექმნას თავის დასაცავად საკმარო საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალები და თვითონ დაამზადოს მასალები, რომლებიც საჭიროა მათი შეიარაღებისათვის“. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია მემორანდუმში, მოითხოვს შეიქმნას ერთიანი დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანია, რომელიც არ იქნება შებოჭილი რაიმე სამხედრო პაქტით. გერმანელი ხალხი დემოკრატიული გზით ქმნის ერთიანი გერმანიის საშინაო წყობილებას ისე, რომ არ ესაჭიროება ბონისა და პარიზის ხელშეკრულებანი და უცხოეთის რაიმე ჩარევა.

გერმანიის გათიშვის ახლანდელ პირობებში არ არსებობს გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების სხვა გზა, თუ არ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის ურთიერთგაგების გზა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ მან არაერთხელ მიიღო სერიოზული ღონისძიება ასეთი ურთიერთგაგების მისაღწევად, და იგი საჭიროდ მიაჩნია ახლაც.

მშვიდობისმოყვარეულ და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნებოდა, აღნიშნულია მემორანდუმში, შეთანხმება სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ. ეს სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა, რომელსაც შეუძლია გერმანია მიიჩნიოს როგორც პოლიტიკურად, ეკონომიურად და ეუტურულად ერთიანი ორგანიზმი, და აღადგინოს იგი როგორც ერთიანი სახელმწიფო, უნდა შექმნან გერმანიის ორივე ნაწილის პარლამენტებმა დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით.

მემორანდუმში დახასიათებულია სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის უფლებები, ფუნქციები და მოვალეობანი და, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მისი ძირითადი ამოცანა იქნება საყოველთაო, თავისუფალი, ფარული და დემოკრატიული არჩევნების მომზადება და ჩატარება მთელ გერმანიაში ისე, რომ არ იყოს უცხოეთის არავითარი ჩარევა და კონტროლი.

სრულიად გერმანიის არჩევნების მიზანი, ხაზგასმით აღნიშნავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, უნდა იყოს დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანია.

მემორანდუმის დასკვნითს ნაწილში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის განსახილველად შეაქვს შემდეგი წინადადებანი და სთხოვს განიხილოს ეს წინადადებანი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი მათი განხორციელებისათვის:

1) ჯერ კიდევ 1954 წელს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების განსახილველად მოეწყობა ყველა სახელმწიფოს კონფერენცია, რომელთა შეიარაღებული ძალები მონაწილეობას იღებდნენ ომში გერმანიის წინააღმდეგ. ამ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის წარმომადგენლები. ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლები სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის მონაწილეობით შეიმუშავებენ საზავო ხელშეკრულების პროექტს, რომელიც წარედგინება ამ კონფერენციას.

გერმანიის ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარული განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ გერმანია არ იყოს შებოჭილი არავითარი სამხედრო პაქტით და რომ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებები გაუქმდეს.

2) სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა, რომელსაც შექმნიან თვითონ გერმანელები, ე. ი. გერმანიის ორივე ნაწილის პარლამენტები დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, ამოცანად ისახავს მოამზადოს და განახორციელოს ეროვნული კრების სრულიად გერმანიის, საყოველთაო, თავისუფალი, ფარული და დემოკრატიული არჩევნები. პოტსდამის შეთანხმების შინაარსის შესაბამისად ოთხი დიდი სახელმწიფო დახმარებას გაუწევს სრულიად გერმანიის დროებითს მთავრობას.

3) არაუგვიანეს ერთი წლისა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ მთელი საოკუპაციო ჯარები დატოვებენ გერმანიას და უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზა გერმანიაში ლიკვიდირებულ იქნება.

4) გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებამდე არ უნდა შეიქმნას გერმანიის არავითარი შეიარაღებული ძალები და არ უნდა წარმოებდეს გერმანიის არავითარი შეიარაღება.

5) გერმანელმა მოქალაქეებმა არ უნდა იმსახურონ ან რაიმე სხვა ფორმით არ ითანაშრომლონ უცხოეთის სამხედრო ან ნახევრადსამხედრო დაწესებულებებში, თუნდაც ეს დაწესებულებები გერმანიის ტერიტორიაზე იყოს.

6) გერმანიაში არ იქნება კონსტრუირებული, წარმოებული ან დაკვეთილი მასობრივი მოსპობის რაიმე სახეობის იარაღი, როგორც, მაგალითად, ატომური და ბაქტერიოლოგიური იარაღი.

7) გერმანელი ხალხის ეკონომიური მდგომარეობის დაუყოვნებლივ შემსუბუქებისათვის განხორციელდება შემდეგი ღონისძიებანი:

ა) საოკუპაციო ხარჯები დასავლეთ გერმანიაში, ისევე როგორც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, შემცირდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ხუთ პროცენტამდე, ამასთან ეს ხარჯები ყოველ შემთხვევაში არ იქნება 1949 წლის საოკუპაციო ხარჯებზე მეტი.

ბ) გერმანია განთავისუფლდება საგარეო საოკუპაციო ხარჯების დავალიანებისაგან, რომელიც 1945 წლის შემდეგ შეიქმნა.

გ) გერმანია განთავისუფლდება ოთხი დიდი სახელმწიფოსათვის ყველა შემდგომი სარეპარაციო გადასახდელის, ომამდელი, ომის დროისა და ომისშემდგომი სახელმწიფო ვალების გადახდისაგან, გარდა სავაჭრო გარიგებებით ნაკისრი ვალდებულებებისა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის კონფერენცია ხელს შეუწყობს ომის საშიშროების აღმოფხვრას, რომელიც დაკავშირებულია ბონისა და პარიზის ხელშეკრულებებთან და ჩვენი გერმანული სამშობლოს საბოლოო გათიშვასთან, და გაუკაფავს გერმანელ ხალხს საზავო ხელშეკრულებისა და ეროვნული აღდგენის გზას, მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახში ბედნიერი მომავლის გზას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით წერილს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი.

სპორტის ამბები

საბჭოთა სპორტსმენების გრანდიოზული გამარჯვება შვეიცარიაში

სტოკჰოლმი, 30 იანვარი. (საკდესი). დამთავრდა ამხანაგური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა და შვედ მოჭიდავეთა შორის. შეჯიბრება მიმდინარეობდა შვეიცის სხვადასხვა ქალაქებში: სტოკჰოლმში, გეტებორგში, მალმეში, ესკილსტუნაში, კირუნასა და მალბერგეტში. საბჭოთა მოჭიდავეებს ჰქონდათ 75 შეხვედრა, აქედან მოიპოვეს 67 გამარჯვება.

დამთავრებს რა შვეიცარია გამოსვლას, საბჭოთა მოჭიდავეების გუნდის ერთი ნაწილი გაემგზავრება სამშობლოში, მეორე — ნორვეგიაში, სადაც იგივეთვე მოეწყობა ამხანაგური შეჯიბრებანი ჭიდაობაში.

სტოკჰოლმი, 1 თებერვალი. (საკდესი). გუშინ „შვეიცა-სსრ კავშირის“ საზოგადოებამ მოაწყო საბჭოთა სპორტსმენებისა და სტოკჰოლმის საზოგადოებრიობის შეხვედრა. საზოგადოების თავმჯდომარე ნილს სილვერშელდი საზოგადოების სახელით გულთბილად მიესალმა საბჭოთა ფოჭიდავეების გუნდს, რომლებიც მონაწილეობდნენ ამხანაგურ შეხვედრებში შვედ მოჭიდავეებთან თავისუფალ ჭიდაობაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შვეიცაში საბჭოთა სპორტსმენების ჩამოსვლამ ხელი შეუწყო შვეიცარია და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას და სპორტული ურთიერთობის გაფართოებას.

საზოგადოების გამგეობის სახელით ნილს სილვერშელდმა საჩუქარი მიართვა საბჭოთა მოჭიდავეების გუნდს.

საბჭოთა გუნდის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა კულაგინმა. მან საბჭოთა მოჭიდავეებს სახსოვრად სასპორტო ალმი უძღვნა საზოგადოების თავმჯდომარეს.

საგჭოთა მსახიობების კონცერტის დიდი წარმატება დელში

დელი, 30 იანვარი. (საკდესი). გუშინ დელის თეატრ „რეგელში“ გაიმართა საბჭოთა მსახიობების პირველი კონცერტი. ბილეთები კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა. კონცერტის დღეს, მისი დაწყების კარგა ხნის წინ, თეატრთან შეიკრიბნენ დელის მოქალაქეთა ჯგუფები. თეატრის შენობა და ახლო მდებარე სკვერის ხეები ილუმინებული იყო. მაყურებელთა დარბაზი, სადაც კონცერტი მიმდინარეობდა, მორთული იყო სსრ კავშირისა და ინდოეთის ალმებით.

კონცერტს დაესწრნენ ინდოეთის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი, ვიცე-პრეზიდენტი რადხაკრიშნანი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ და მისი ქალიშვილი ინდირა განდი, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩები.

მაყურებლებმა ფეხზე ადგომით მოისმინეს საბჭოთა კავშირის და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

კონცერტის დაწყების წინ, გულითადად მიესალმა რა საბჭოთა დელეგაციას, ინდოეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა რაჯკუმარი ამრიტ კაურმა ტაშის გრიალში განაცხადა: „მოგესალმებით თქვენ, სსრ კავშირის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციას, როგორც კეთილი ნებისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების მოციქულებს“.

საპასუხო მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა ხელოვნების ოსტატების დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ბესალოვმა.

ხელოვნების ფრონტზე

თბილისის ოპერისა და بالეტის თეატრის სოლისტების გასტროლები

თვეზე მეტ ხანს იყვნენ წასული საგასტროლოდ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ნ. ხარაძე და ბ. კრავეიშვილი.

მომღერლებმა გამართეს ერთი კონცერტი მოსკოვში — მსახიობის სახლში და სამი კონცერტი ლენინგრადში — ა. გლაზუნოვის სახელობის სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში და ოფიცერთა სახლში.

ნ. ხარაძისა და ბ. კრავეიშვილის გამოსვლების პროგრამაში იყო რუსი, ქართველი და საზღვარგარეთელი კლასიკოსი კომპოზიტორების რომანსები და არიები და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

გარდა ამისა, ბ. კრავეიშვილი გამოვიდა ესტონეთის სს რესპუბლიკაში, ქალაქ ტალინში, სადაც გამართა სასოლო კონცერტი და ოპერის თეატრში იმღერა ონეგინის პარტია ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინში“.

ქართველ მომღერლებს წარმატება ჰქონდათ.

პიანისტ ა. ნიქარაძის წარმატება

მუსიკის მრავალი მოყვარული დაესწრო ახალგაზრდა პიანისტის ალექსანდრე ნიკარაძის კონცერტს, რომელიც გაიმართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში.

ა. ნიკარაძე სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში პროფესორ ა. ვირსალაძის კლასში, შემდეგ კი გადავიდა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც მეცადინეობს პროფესორ ჰ. ნეიგაუზთან.

კონცერტის პროგრამაში შედიოდა უცხოელი კლასიკოსების — ბეთჰოვენის, ლისტის, შუმანის, შუბერტის ნაწარმოებები, რომლებიც ახალგაზრდა პიანისტმა შეასრულა დიდი ემოციური აღმავლობით და გამომაყვანა საუკეთესოდ განვითარებული ტექნიკა.

ახალგაზრდა მევიოლინის კონცერტები

თბილისში წარმატებით გამოდიოდა რ. სობოლევსკი, რომელიც ეკუთვნის საბჭოთა მევიოლინეების ყველაზე ახალგაზრდა თაობას. რ. სობოლევსკი ჯერ კიდევ მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტი იყო, როცა მიიღო პირველი პრემია დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე ბუდაპეშტში 1949 წელს, ხოლო 1953 წლის ზაფხულში მიიღო მეორე პრემია პარიზში ეიკ ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსზე. ამჟამად ახალგაზრდა მევიოლინე მოსკ